კაკა ედზისელი

კოლხური ფსალმუნები

100-ტომეული

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეტრუსელი



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვეფ ეტრელელი



კოლხური ფსალმუნები

ტომი 12

2020

მთ. რედაქტორი **ჯემალ ჯინჯიხაძე**
პედაგოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა **„უნივერსალი"**, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-26-819-9 (12 ტომი)

* * *

ვაჟა ეგრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი!” ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა” გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟაფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და შაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აბრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსთველს აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „გაჯადღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ძუტაია“, არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნების“ იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯეროობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაგოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

გულნაზ ხარაიშვილი
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი,
ჯუმბერ ლეჭავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

„გულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას.“

ა. პუშკინი

ᲕᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ
(გაგრძელება)

ეს მისია კი მხოლოდ უზენაესით ეწყალობება ადამიანს: „ღმერთმა მოგცა ამის ბედი, რომ სულ იყო ცის მჩხიბავი, მაღალი და მაღლად მხედი“...

„ცა მედიუმია“, „ცანი ცათანი“ უხილავს (მეფობს უსასრულობა) მე-7, მე-9, მე-10, მე-11 ცამდე“

მარადიული სინათლის ქვეყანაში აუღწევია.

„ნათლითმოსილ მეცხრე ცის წყვდიადს“ გაუოგნებია (ორი ათასწლეულის) ცას ნათელი და „ღვთაებრივი ბნელის“ სხივი მიუსხურებია: „შენ მეცხრე ცა გასხივებს ნათელს – ბნელს და ღვთაებრივს“ (რადგან მიწა დატოვე).

ზეცისკენ ლტოლვა მიწის უგულებელყოფას კი არა, მის სრულყოფას ემსახურება. წმინდა გრიგოლ პალამა წერს: „მხურვალედ ვითხოვოთ... ზეციური

სიმაღლეები და მიველტვოდეთ სილაჟვარდეს, ვინძ-ლო უწყინრად მოგვეცეს მიწიერი სიკეთე ამ საუკუ-ნეში“ (33, 388).

„ცათა შინა სწრაფვამ... კვლავ სამშობლოს გზაზე უნდა დაგვაყენოს“ (წმინდა გრიგოლ ნოსელი) (33, 397).

„საუკუნე გავილაჟვარდე“, აცხადებს ვაჟა ეგრისე-ლი მრავალმნიშვნელოვნად. იგი გაურბის ცოდვილ მიწას, „ბელტების ღრიანცელს, „მიწის სიგანე და ზეცის სიმაღლეც“ უცდომლად აქვს განჭვრეტილი: „ჩემს ფიქრებს სრბოლას ვერვინ დაუშლის... ხან ქვესკნელს ჩადის და ხან სივრცეს გასდევს ზოლი-ვით და... მტკაველ-მტკაველ აქვს გაზომილი ქართუ-ლი მიწის სიგანე და სიმაღლე ზეცის“ (ჩემს ფიქ-რებს).

პოეტი მუდმივად აკრიტიკებს მიწიერ უკეთურო-ბებს, „ეკლებს, ხიწვებს“ გმობს, „სიტყვის ბასრ ორ-ლესულით“ მიჰკაფავს „ცხოვრების უღრანს“, შიგ დაბუდებულ მხეცებს, ნადირებს (ბნელ ინსტინქტებს) ემტერება (იხ. ლ. სორდია, „ბიბლიური პარადიგმე-ბით გამხელილი სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოე-ბები ვაჟა ეგრისელის პოეზიაში“) (16, 82-124).

„ბოროტება უღრანია, რომელსაც ხმა უფლისა გა-მოაჩინებს და ამზეურებს (წმიდა ბასილ დიდი) (9, 90).

ღვთისმეტყველი გვასწავლის: „როგორც დაუმუშავებელი მიწა უხეშდება და ბუჩქნარით იფარება, ასევე საღმრთო სწავლებას მოკლებულ სულშიც აღმოცენდება ეკლები და მანკიერი სურვილები“ (32, 25).

ადამიანთა ცოდვების გამო ვარდებს ეკლები დაემგზავრა: „ეკლები ცდომილების შემდეგ აღმოცენდა მიწიდან, თანახმად უფლის განჩინებისა. ამის შემდეგ ვარდის საამურობას ეკალიც თანაშეეწყვილა, რომ შეგვახსენოს ის ცდომილებები, რის გამოც ეკლებისა და კუროსთავების აღმოცენება მიესაჯა ჩვენთვის მიწას“ (წმიდა იოანე დამასკელი) (37, 357).

მიწა მაინც ღვთიურია, როგორც ქრისტეს ფეხის ნადგამი: „არ გვეშინია ქვეყნად არყოფნის, უჩინმაჩინის სამოსელით არ ვიმოსებით, მოკვდავნი მარად მიწად ვიურვით... რადგან ვით ეს ცა ანგელოზების, მიწაც ასევე არის ღვთიური“ (არ გვეშინია).

„მიწა ღმერთია, მოხუცი და გაუპარსავი, ჩვენს დიდ ოცნებებს აკვანს რომ ურწევს“, ამბობს პოეტი ლექსში „მიწა ღმერთია“.

„ცა ღვთის ტახტია, რადგან ცაში არიან მისი ნების აღმსრულებელი ანგელოზები, რომლებიც ადიდებენ მას. მიწა კი არის ღვთის ფეხთა კვარცხლბეკი, რადგან ხორციელად მასზე იმყოფებოდა იგი ადამიანებთან ერთად“ (37, 339). ჭეშმარიტი არსებობის მიზანი ის არის, რომ „ზეცის დამკვიდრებამდეც მიწა ზეცად უნდა ვაქციოთ, რომ მიწაზე მცხოვრებ-

ნი ისე მოვიქცეთ, თითქოს ზეცად ვიყოთ რომ წაიშალოს განსხვავება ცასა და მიწას შორის..., რათა მივბაძოთ ზეციურ ცხოვრებას“ (წმიდა იოანე ოქროპირი) (32, 433).

ცვალებად, დასაღუპავად განწირულ მიწასთან ერთად, ღვთისმეტყველები მოიაზრებენ „მშვიდთა მიწას“, „უკვდავთა მიწას“, რომელშიც წმინდანები დამკვიდრდებიან: „მიწაც განქარდება და შეიცვლება. ხოლო ნეტარია ის, ვინც მშვიდთა მიწას დაიმკვიდრებს, რადგან ის მიწა, რომელმაც წმინდანები უნდა შეიწყნაროს, უკვდავია“ (37, 357).

„სასარგებლოა მიწა, რომელიც იწოვს მასზე მრავალგზის მოსულ წვიმას და იძლევა მწვანილს, სასარგებლოა მათთვის, ვისთვისაც მუშავდება, იგი ღვთისგან ღებულობს კურთხევას.

ხოლო რომელიც იძლევა ეკალსა და კუროსთავს, უვარგისია და ლამის დაწყევლილი. მისი ბოლოა დაწვა“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 6, 7, 8).

ვაჟა ეგრისელი „მშვიდთა მიწას“ ხედავს ცაში, ჰიმალაის, შამბალას, ანდების, კავკასიონის, მთაწმინდის, ხეთას, ეკის, „ჩე გოლას“ (სამეგრელოს მთებია) მიდამოებში.

პოეტი განასხვავებს ცას და მიწას, მაგრამ მათ შორის ხიდის გადებას „მზით – მოსილი სიტყვით“ ცდილობს: „... ვითარც ქნარმა სულიწმინდის, მოსვლის დღიდან ადამის ძის დიდი ცოდვა ზურგზე იდე

და მზითმოსილ სიტყვით გადე ცას და მიწას შუა ხიდი“ (ვითარც ქნარმა სულიწმინდის).

ეზოთერული სიბრძნე არ მხოლოდ ცაში („ცაა სამყაროს გონება“, ამბობს ერთგან), მიწაზეც იხილ-ვება: „უფალს ნაამბორები, არ მიკარებს მე რული, ბრუნავს ჟამთა მორევი შორი და უფერული, ცა და მიწა ორივე არის ეზოთერული“...

პლანეტარულია, კოსმიურია მისი თვალსაწიერი, ხილვისა და სმენის მასშტაბები.

პოეტის თვალთა მზერაშია მზის სევდა, მთვარის სიკეთე, ცეცხლი კოსმიური: „ვითარც სახე სიკეთის, მოჩანს მთვარე სნეული და ჩემს თვალთა მზერაში, ლამაზ ბუდეს იკეთებს: ცეცხლი კოსმიური და მზის სევდა შორეული“ (ვითარც სახე სიკეთის).

კოსმიური ფიქრი ვარსკვლავებს, მეტეორებს, პლა-ნეტებს, გალაკტიკებს უვლის: „კოსმიური ჩემი ფიქ-რი, ისევ ისე ვიმეორებ, ხსოვნის ყვითელ ალამს კი-დებს: ვარსკვლავებს და მეტეორებს, პლანეტებს და გალაკტიკებს“ (კოსმიური ჩემი ფიქრი). უცნობ, სხვა-თაგან უხილავ პლანეტებს ზვერავს ცაში და თვით ქმნის ახალ, გამაოგნებელ პოეტურ პლანეტას: „იმ პლანეტებზე სხვას არავის არ გაუვლია, არვინ ყო-ფილა მზის სიშორით ასე სნეული. მთვარე კი არა, შენი სულია, ვულკანად ცაში ამოფრქვეული და ქვადქცეული“ (იმ პლანეტებზე).

მთიების ქნარები უპყრია, ფრთებს კი ცაც, კოსმოსიც ეპატარავება: „ხარ ერიც და ეპოქაც, ხელთ გიპყრია მთიები ქნარებად და არფებად. და თუ ფრთები გაშალე, ცა კი არა, კოსმოსიც, არ გეყოფა საფრენად“ (ხელთ გიპყრია მთიები).

ანგელოზისფრთიან სულს ცა, ჯერ არავისგან არსმენილი კოსმიური ხმა ეძახის: „ანგელოზისფრთიანი სული ცისკენ იურვის (ალბათ ესეც სენია). გიხმობს ცა კოსმიური, რომლის მსგავსი არავის, არასოდეს სმენია“ (გიხმობს ცა კოსმიური).

არყოფნის აჩრდილი, კოსმიური კატაკლიზმების შიში სერავს უკიდეგანო სულს: „რაც დრო გადის მით უფრო არყოფნისკენ იურვი... და დღითი-დღე იზრდება მიწიური კი არა, სხვა, რაღაც კოსმიური შიში კატაკლიზმების“.

ცის და მიწის საზღვართან მდგარს, გამუდმებით ესმის კოსმიურის მოწოდება: „ცის და მიწის საზღვართან მდგარს, მწამს დაგაგვიანდა იქ, სადაც მზე იურვის, სადაც გიხმობს ნიადაგ სამყარო კოსმიური“ (ცის და მიწის საზღვართან მდგარს).

გალაკტიკებში, პლანეტებს იქით ეწევა სულის წყურვილი: „როგორც ადრე, კვლავ მიჰქრი, რადგანაც შენ ბინადრობ, სადღაც გალაკტიკაში, სადღაც პლანეტებს იქით“ (როგორც ადრე).

პოეტი მთელი ვარსკვლავეთის სამყაროსთან არის გაშინაურებული: „ჰელიოსისგან ნაკურთხი ეს მზერა

ცეცხლის მკვესავი, ქვეყნად ბევრს გახდის რეტიანს. დიდო მგოსანო! შენსავით ბნელ მღვიმეებში ვარსკვლავთა არავის შეუჭვრეტია“ (ბნელ მღვიმეებში ვარსკვლავთა).

ვარსკვლავებზე ნარწევი სულის სიტყვას „ციური მანანა“ გამოარჩევს: „შენი სული ნიავმა ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე არწია-ანანავა. მიტომ შენი სიტყვა ცვივა ციდან ციურ მანანად“ (შენი სული).

მაგრამ მზის, მთვარის, ვარსკვლავთა სახისმეტყველება ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ერთი დიდი, ვრცელი მონოგრაფიის თემაა და ამჯერად შეუძლებელია მათზე საუბარი.

პოეტმა არა მხოლოდ მიწაზე, ზღვაზე, მთაზე, ცაზე, არამედ მიღმა სამყაროზე, ქვესკნელ-ზესკნელ-შუასკნელზე, მიღმურზე, კოსმიურზე გააკეთა აქცენტი. უკიდეგანო სულს არა ხილული, არამედ უსასრულო, კოსმიური ცა ენატრება: „ხილული სივრცე არა ყოფნის სურვილს საფრენად. მიტომაა, რომ მზისკენ იურვის, – უსასრულობას შენივთებია. დღე და ღამე კი შენი ფრთებია, მიტომ მოგელის ცა კოსმიური“ (დღე და ღამე კი შენი ფრთებია).

სწრაფვა „მიღმა“, „იქით“, ადამიანთათვის დაწესებული საზღვრების გაწევა და კოსმიურთან შეხმიანება გამოარჩევს „კოლხური ფსალმუნების“ ავტორს: „მიღმა მერკურის და ანდრომედას, მარადისობის ციცქნა იმედად, ხელს მიქნევს, ვითარც ტოტი იელის

პლანეტა დიდი და უსახელო... ბედის ვარსკვლავი სადღაც იელვებს და ცა აიწევს ნახევარი მთვარის საყელოს“ (მიღმა მერკურის და ანდრომედას).

კოსმოსის იქით დაანთო პოეტმა ფიქრის ვარსკვლავები (ყინულის ჯავშნით).

ასეთი გამორჩეული ხილვებისა და მსოფლშეგრძნების პოეტის სახელი პოლუსებზე, არქტიკის იქით, ჯერაც უცნობ სფეროებში და გალაკტიკებზე გახმოვანების ღირსია: „აქ ისევ სდუმან! მაგრამ ღვთის ნებით შენი სახელის ისმის ქუხილი ჩრდილო პოლუსზე, იქით არქტიკის და ეფერება ჯერაც უხილავ, უცნობ სფეროებს და გალაკტიკებს“ (აქ ისევ სდუმან)

მზისთვალება და მთვარისთვალება პოეტის „ფიქრის ვარსკვლავები“ ცას ნაღმავენ: „ლეგენდებში დანთებული შენი ფიქრის ვარსკვლავები ძველ კოლხეთის ცას ნაღმავენ. მზე და მთვარე გაქვს თვალებად, მით მეუფებ – დღეს და ღამეს“ (შენი ფიქრის ვარსკვლავები).

საკუთარ არსებაში შეიგრძნობს მზეს და მთვარეს: „ნათლითშემოსილს, ვითარცა ქრისტეს, ეძახდა სულ სხვა სასუფეველი, რადგან მიწიერს მზის და მთვარის სისხლი ერია და მიმწუხრისას ამაღლდა ზეცად მნათობთა მტვერში შეერია“ (ნათლითშემოსილს, ვითარცა ქრისტეს).

მთვარე და მზეა მისი სულის სამკვიდრო: „გარდასულ საუკუნეთა მთვარეზე ვშლიდი იალქნებს და მზეზე მედგა კარავი. ის ხმები, რაც მე მსმენია, ჯერ არ სმენია არავის“ (გარდასულ საუკუნეთა).

თითქოს მთიების სისხლის არის შექმნილი პოეტი: „მას სხვა გზებით უვლია და ის არის პირველი, ვინც მზემ სისხლით მთიების ცას ნისორში მოზელა და უფალმა შთაბერა სული ნათელმხილველის“ (მას სხვა გზებით უვლია).

მზის და მთვარის, მთიების „სისხლი“, მდინარეების, ზღვების, ოკეანეთა ტალღებია მისი ენერგიის უშრეტი წყარო... პავლე მოციქული ბრძანებს: „არის ციური სხეულები და არის მიწიერი სხეულები, მაგრამ ციურის დიდება სხვაა და მიწიერისა სხვა.

სხვანაირია მზის დიდება, სხვანაირია მთვარის დიდება და სხვანაირია ვარსკვლავთა დიდება, რადგან ვარსკვლავიც განირჩევა ვარსკვლავთაგან დიდებით“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 15, 40, 41).

და მაინც... რა არის პოეტისა და სამყაროს ასეთი ურთიერთმიზიდულობის მიზეზი?

გიორგი გურჯიევი წერს: „ჩვენშიც არსებობს მთვარე, მზე და ა.შ. ჩვენ მთელ სისტემას წარმოვადგენთ. თუკი იცით, რა არის თქვენი მთვარე და როგორ ზემოქმედებას ახდენს იგი, მაშინ შეგიძლიათ ჩაწვდეთ კოსმოსს“ (19, 59).

დედამიწა, პლანეტათა სამყარო და მზე, მსგავსად ყოველი ცოცხალი არსებისა, ავრცელებს ემანაციებს.

ადამიანი არის, ერთი მხრივ, პლანეტურ ემანაციებსა და დედამიწის ატმოსფეროს შორის და, მეორე მხრივ, დედამიწის ნივთიერებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შედეგი (19, 177).

ყოველივეს ემანაცია აქვს, რადგან ყოველი არსებული რაღაცით საზრდოობს, თავის მხრივ, თვითონაც რაღაცის საზრდოა. დედამიწას აქვს ემანაციები, ასევე მზესაც და ეს ემანაციები... ნივთიერნი არიან (19, 149).

ყოველი არსება გამოსხივებას ახდენს, გარკვეულ ნივთიერებას, სხივებს უშვებს. ეს ეხება დედამიწას, ადამიანს და მიკრობს. დედამიწას... აქვს საკუთარი ემანაციები და საკუთარი ატმოსფერო. პლანეტებიც ასევე გარკვეული არსებებია, ისინიც ასხივებს ემანაციებს, ასევე მზეებიც. პოზიტიური და ნეგატიური ნივთიერებების დახმარებით, მზეთა ემანაციისაგან წარმოიშვა ახალი ქმნილებები. ამგვარ შეერთებათა შედეგია ჩვენი დედამიწა.

აქ, ამ პლანეტაზე არის დედამიწის, პლანეტების და მზეების ემანაციები. დედამიწის ემანაციები ვრცელდება მხოლოდ გარკვეულ მანძილამდე, მიღმა კი მზეებისა და პლანეტების ემანაციებია (19, 166).

ემანაციები ყველაფერში იჭრება. ისინი აღწევენ ადამიანებსაც.

მაღალ სფეროებში ინტელექტი, გონებრივი განვითარება თავისი წმინდა კრისტალური ფორმით არსებობს, რაც უფრო „დაბლა ეშვება“, მით უფრო ნაკლებად განვითარებადია იგი (19, 167).

დედამიწა, პლანეტათა სამყარო და მზე, მსგავსად ყოველი ცოცხალი არსებისა, ავრცელებს ემანაციას. ადამიანი არის, ერთი მხრივ, პლანეტების ემანაციებისა და დედამიწის ატმოსფეროს შორის და, მეორე მხრივ, დედამიწის ნივთიერებებს შორის ურთიერთქმედების შედეგი.

ასტრალური სხეულის ნივთიერება თავისი რხევების, ვიბრირების მიხედვით მზის ემანაციების ნივთიერებებს შეეფარდება“ (19, 447).

ვარსკვლავურ სამყაროზე ფიქრი ასპეტაკებს სულს: „დაუკვირდი ვარსკვლავთა მოძრაობას, როგორც მათი სრბოლის მონაწილე და გამუდმებით იფიქრე სტიქიონთა ერთმანეთში გადასვლისათვის, რადგან მსგავსი წარმოდგენანი მიწიერი არსებობის მწიკვლისაგან წმენდენ კაცის სულს“ (35, 76).

გიორგი გურჯიევი გვირჩევს: „გამოდით უღრუბლო, ვარსკვლავიან ღამით გარეთ და შეხედეთ ზეცას,... მილიონობით სამყაროებს, რომლებიც იმყოფებიან თქვენს ზევით ცაზე... შეხედეთ ირმის ნახტომს. შეუძლებელია დედამიწას ამ უსასრულობაში თვით

ქვიშის მარცვალიც კი ეწოდოს. იგი დნება და იკარგება ამ უსასრულობაში... დაფიქრდით, სადა ხართ, ანდა უგონობა ხომ არ არის ის სურვილები, რაც თვითოეულ თქვენგანში არსებობენ?

ამ სამყაროთა წინაშე შეეკითხეთ თქვენსავე თავს: რას წარმოადგენენ თქვენი მიზნები და იმედები, თქვენი ზრახვები და ის საშუალებანი, რითაც აპირებთ მის განხორციელებას, ის მოთხოვნილებები, რომლებიც შეიძლება წარმოგიდგეთ და თქვენი მზადყოფნა ამ მოთხოვნილებათა მისაღებად.

თქვენს წინაშე ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობაა. მოგზაურობის მიზანია თქვენთვის უჩვეულო, უცნობი მიწა. გზა უძნელესი და უსასრულობაა... თან იქონიეთ ყველაფერი, რაც სჭირდება ამ მოგზაურობას.

გაზომეთ თქვენი ძალები. გაწვდებიან ისინი მთელ მოგზაურობას?

... წინ დიდი გზა გიდევთ. ეს თქვენგან ითხოვს პროპორციულად დიდ მარაგს, – ეს მარაგი კი წინააღმდეგობაა, როგორც მოგზაურობის დროს, ასევე ამ მოგზაურობის მზადებისას“ (39, 103).

... ვაი, თქვენ, თუ დასუსტდით და სახლის გზა დაგავიწყდათ თქვენ ვერასოდეს ვერ შეძლებთ დაბრუნებას და თუნდაც გახსოვდეთ ის გზა, შეძლებთ კი უხიფათოდ და სწორად დაბრუნებას? მრავალი უსიამოვნება ელოდება მარტოხელა მგზავრს, რო-

მელმაც არ იცის გზა და ის მოულოდნელობები, რაც ახლავს თან ამ გზას“ (39, 103).

საჭიროა თითოეული ნაბიჯის გაკონტროლება.

... ნუ დაივიწყებთ მიზანს, რათა არ დაკარგოთ სწორი მიმართულება. ... გახსოვდეთ, არც ერთი მცდელობა არ იკარგება უქმად“ (39, 104).

ასტრალური მოგზაურობა განსაკუთრებულ ძალისხმევას, „უმაღლესი წესრიგის გამბედაობას“, სიმშვიდეს, შიშზე გამარჯვებას, საკუთარი ძალების რწმენას მოითხოვს“ (40, 124).

ე. რერიხის მიხედვით, სიკეთეს ზიარებული სულის დისციპლინა იგივე ფრენის უნარია. საჭიროა ლოცვა სულის ფრთის გაძლიერებისთვის, საჭიროა სწრაფვა აბსოლუტისკენ ... ფრენას სჭირდება ისეთი სხეული, რომლითაც სულს არ ეშინია ფრენის. ფრთები იზრდება აზრით, შესაძლებელია გაფრენა ფიქრით“ (41, 32, 51, 88, 98, 102, 523).

იოგების მიხედვით, ტრანსცენდენტურ პლანეტებზე მგზავრობისათვის, სულიერი ზეცის მისაღწევად საჭიროა სულიერი სხეული.

სხვა პლანეტებზე მოგზაურობის მსურველს ჰქვია „სარვაგატა“, რაც ნიშნავს მას, „ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს“.

„შრიმად-ბჰაგავატამის“ II სიმღერაში აღწერილია სულიერი ზეცისა და მისი მცხოვრებლების ბუნება.

„ბჰაგავად-გიტაში“ დიდ მოგზაურობაზეა საუბარი, ჩვენ უნდა გადავლახოთ მატერიალური სამყარო და შევიდეთ სულიერ ზეცაში. ეს შესაძლებელია არა კოსმიური ხომალდებით, არამედ კრიშნას ცნობიერებით, სულიერი განვითარებით.

სრულყოფილი იოგისთვის, რომელიც ცნობიერად ტოვებს სხეულს, პლანეტიდან პლანეტაზე გადასვლა ისევე ადვილია, როგორც უბრალო ადამიანისათვის მაღაზიაში შესვლა. უნდა მივიღოთ სულიერი სხეული.

„ჰაერით მოგზაურობა იწვევს აზრის შეცვლას, გონებისმიერი განწყობის შეცვლას, პროგრესირებას

მენტალურ უნართა განვითარების გზით“ (13, 304).

„მოგზაურობა, ხეტიალი ანტიკურ და შუასაუკუნოებრივ პოემებში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონის, ოდისევსისა, ენეასისა, შუასაუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა“ (13, 212).

დასაბამიდან იდგა საქართველო ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე. გადასარჩენი იყო რწმენა, სულიერება, ეროვნულობა. საუბედუროდ, ისევ ჰკიდია ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილი.

მრავალგზის უბრუნდება პოეტი მიძინებული ლაზარეს საქართველოს თემას.

იგი ერთმანეთს უკავშირებს „კოლხურ მისტერიებს“ და ლაზარეს: „რემამ საუკუნეთა ისტორიის მინ-

დვრები უცებ გადითარეშეს. კვალი არ ჩანს აქ მოსვლის. კოლხურ მისტერიებს კი, მწამს „ლაზარეს“ გარეშე, ქვეყნად ვერვინ ამოხსნის“ (რემამ საუკუნეთა).

„ცის და მიწის კარიბჭის გასაღები“ ლაზარეს აბარია, ასე ფიქრობს პოეტი: „სადღაც ვიღაც ყაჩაღი, ვითომ სიბრძნით და ნიჭით, ნახშირს ოქროდ ასაღებს. შენ კი მალავ გასაღებს ცის და მიწის კარიბჭის“.

ნათელმსმენ პოეტს ესმის ლაზარეს სუნთქვა, სჯერა მისი აღდგომის და იგავ-მითების ტაბუდადებულ სიბრძნეს ეზიარება: „საიდანღაც ლაზარეს, ჩუმი სუნთქვა იგრძენ, და ჭვრეტ იგავ-მითებში ადრე ტაბუდადებულ საიდუმლო სიბრძნეს“ (ხილვა: ლაზარეს აღდგინება).

მაინც გარდუვალია ლაზარეს აღდგომა, ცხრაკლიტულში ჩაკეტილი საიდუმლო სიბრძნის საყოველთაოდ გახმოვანება: „რა დღეს, რა ხვალ, გარდასულთა, ცხრაკლიტულის კარს გააღებს, აღდგება და ჩვენთან მოვა. და მილეთი აამაღლებს: ასომთავრულს, ნუსხურს, მგრგლოვანს“ (რა დღეს, რა ხვალ).

ფაზისთან ელანდება პოეტს ლაზარეს ძირი, აკვანი, ხუთიათასწლეულში მისი მიძინების პერიოდი (აქ, ფაზისთან).

ბუნებრივად ისმება კითხვა, რას ფიქრობს პოეტი უმაღლესი იდეალების, ქვეყნის გადარჩენაზე და ნათელი ხდება, რომ მისი პასუხი ოპტიმისტურია.

ვაჟა ეგრისელს ეზმანება შორეულზე შორეულ წარსულიდან მომავალი კოლხეთის აყვავება: „ბრძოლითა და ყიჟინით, შორეულზე შორეული წარსულიდან მოხვედი, ცა მაღალი, ვით მინჩხი, აყვავდება კოლხეთი, ვითარც ბუჩქი კვირინჩხის“ (ბრძოლითა და ყიჟინით).

საქართველოს გაბრწყინების რწმენის მასაზრდოებელია ძველი კოლხეთი, ეგრისი, აია და უფალს ევედრება ესაია წინასწარმეტყველისებურ „სწავლულთა ენის“ მომადლებას: „საქართველოს გაბრწყინების მიღვიძებენ დიად რწმენას, ძველი კოლხა, ის ეგრისი, ეს აია. უფალსა ვთხოვ, რომ სწავლულთა მომცეს ენა ისე, როგორც ესაიას“ (საქართველოს გაბრწყინების).

მოსალოდნელი ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევაშიც გადარჩება გრაალი, რწმენა, სულიერება: „შეიძლება ეს ზღვები მეცხრე ცამდე აალდეს, ცას ჩაემსხვრეს ვარსკვლავთა ვარდისფერი მინები, მაგრამ თასი გრაალის, ვითარცა მზის სვეტები, აღარ გაიყინება“ (შეიძლება ეს ზღვები).

გადარჩენის საწინდარია წყლით, ცეცხლით, სულიწმინდით ნათლობა, განწმენდა: „წუხილის ქვაზე მოულოდნელად, როცა სიკვდილმა ცელი ალესა, შე-

ნი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მაგრამ გადარჩი, ვით აქილევსი, რადგანაც ცეცხლზე გაწრთო თეტიდამ“ (წუხილის ქვაზე მოულოდნელად).

უცდომელი წარსული და აწმყო შეამზადებს ისეთ ედემისგვარ მომავალს, რომ უკანმოხედვა სიამაყით აღავსებს სულს: „დადგება ჟამი, მომავლიდან წარსულისაკენ გაიხედები, ყელს მოიღერენ გაფრენილი დღეთა გედები და დაგიდგება – თვალწარმტაცი შენი ედემი“ (დადგება ჟამი).

ლექსში „გადარჩენა“ ტერენტი გრანელის სულისა და პოეზიის გადარჩენაა ზეცაში გადაწყვეტილი: „თავისთავს კვლავ დააკვირდა უფალი, მერე მიწა მოზილა და როდესაც ცას ვარსკვლავი დააჩნდა, „გადარჩება?! მიაკივლა ზოზიამ. ციდან ესმა: – „პოეზია გადარჩა!“

პროფ. **ლუარა სორდია**

გაგრძელება შემდეგ ტომში

წყალი

„შვიდწლეულში ერთხელ,
თურმე იძინებს წყალი“.
და წამით როცა ინათებს
თუ შესვი –
წყალი თვალით,
აგისრულდება ყოველი,
რასაც ამქვეყნად
ინატრებ.

1995

ჭიაკოკონობის ღამე ტაბაკონის მთაზე

ავთვალებსა და ავსულებ,
მზაკვალებს და
როკაპებს
სურდათ მოსრევა ადამის
მოდგმის,
ჯიშის და ბუნების.
და ღმერთთან ჰქონდათ აჯები!
იყო ღრეობა ჭინკების
ეშმაკების და ქაჯების...
და იყვნენ მაიმუნები –
„გითუტყვიცანდეს ყვაჯები“.

1958

მივალ, ვით ბერი კოპალა

იმ დევის მესმის ღრიალი,
ვინც ფშავლებს
წყალი „მოპარა“,
(მას ფიქრში ბევრჯერ შევები)
ათასწლის მერე იხინჭას[1]
მივალ,
ვით ბერი კოპალა,
ამოსაწყვეტად დევების.

1959

[1] იხინჭა – ადგილი ფშავში.

ტობავარჩხილი

მომწუხრისას ფეხაკრეფით,
        მისი მცველი ალქაჯები
        ამოდიან ტბის ფსკერიდან,
ვერცხლი წვეთავს –
            მათ ფრჩხილიდან
და დილამდე მათი ხმები
            ისმის –
                ტობავარჩხილიდან[1].

1956

[1] ტობავარჩხილი (მეგრ.) – ვერცხლისტბა.

ისევ პარას ჭალა

პარა არჩანს...
მის ჭალაში,
არც სახლი დგას,
არც ოკარი
და სიმღერა რომ მოისმის!!!
ეხ,
ნეტავი რა ახარებთ?!
როცა მათი ეზო-კარი,
მოჭგავს დევთა –
ნასახლარებს.

2019

ტროას გახსენება

ათასწლეულების მერე,
სადღეგრძელო –
მოდით,
შესვით!
აქილესს და ოდისევსის.
რამდენიც გსურთ
მერე აქეთ,
პარისი და ტელემაქე....

1971

სიკვდილი

მიწაზე არა,
ცაში ბინადრობს
შავით კი არა,
თეთრით მოსილი,
ციდან ჩამოდის ანგელოსივით.
თუმცა მის მოსვლას
ვერვინ გებულობს,
რადგანაც მიწას აღარ ეხება,
თუმცა აქვს დიდი ოჩოფეხები.

1968

სანდურავი

გამჩენსა და ბედს ენდური,
ღობე-ყორეს
კვლავ ედები,
რადგან შენთვის ცხრაკლიტული
არის ენა სანსკრიტული,
ურარტული და
ხეთური.

1962

თორღვა

„ადამიანებიდან ქაჯეთში
ჩასვლა თორღვას შეეძლო“.
ქართული მითოლოგია

იახსარის და კოპალას
გმირობას ეხლა ვაჯამებ,
სანამდე მათ ხატს ვნახავდი:
როგორ ებრძოდნენ ავსულებს,
დევებს,
ქაჯებს და
სატანას.
.... მწყალობდა ჯვარი ხახმატის
და მით ჩავედი ქაჯავეთს
„ფურის რქის“[1]
ამოსატანად.

1961

[1] „ქაჯეთიდან მოტანილ „ფურის რქა“-ში ერთი ლიტრა ქერი ჩადიოდა.“ ხალხური

ბორჯომი და ნაბეღლავი

საქართველოს მთა და ბარი,
დედამიწის ცას შებღავის:
– უკვდავების წყალი არის –
ბორჯომი და ნაბეღლავი.

2000

არამხუტუ

არამხუტუმ, იმ დევკაცმა,
მეგრელებს გოგო მოსტაცა
ლაკადაში თუ
აბაშას.
და „მთიდან მთაზე ხტებოდა“,
თან მდევრებს იგერიებდა,
ხელთეპყრა წიფლის ლაბაშა[1].

1984

[1] „ლაბაშა – ყავარჯენი, გრძელი წვეტიანი ჯოხი, რომ-ლითაც ახამუტუ მთიდან-მთაზე ხტებოდა“.

ხორბა

მეგრული ეზო...
კოინდარი...
ჭა-ოწინარი...
სიმინდის ტაროს ოქროს კბილი
უჩანს მცინარეს.
და უცებ ციდან –
მოთვალთვალე ქორი
იწივლებს!
სოფელს აიკლებს კრუხის ქოთქოთი...
მოხუცი ბებო დგას და ჯოხით
ითვლის წიწილებს.

1955

100 ტომეული

როს იხილავენ ასტომეულს
„კოლხურ ფსალმუნთა“,
კოლხმა დედებმა
არ გაიოცონ!
ყური მიუგდონ სულ შორეულ
ხმას სალამურთა
და ღვთის ტაძარში
ჩუმად ილოცონ...

1993

ნაძვის ხე სასაფლაოზე

მშობლიური მიწის ძახილს
                უსმენსა და
                უდგას კერას.
და ფესვების მსხვილი ძაფით,
                მიწისქვეშ ჩვენს,
                საფლავს ლამბავს,
და ზევით კი ხსოვნას კერავს.

1965

კაპუნია

„ ... კაპუნია – არწივზე დიდი ფრინველია
და ზევით, ცაში ცხოვრობს“.

ქართული მითოლოგია

შენ ცა ხარ და დღე და ღამე,
ოქრო-ვერცხლის კარებია,
ღამის კარზე –
დღე-ნიადაგ
ვარსკვლავების კაკუნია.
დღეს ღია აქვს
და იქ ცხოვრობს
ღვთის ფრინველი კაპუნია.

1963

კუნძული

ადარსაიდან მოსულმა,
        სხვა რაღა უნდა
                ინატრო,
ცხოვრებით არ კმაყოფილმა!
შენ,
        იმ კუნძულზე ბინადრობ,
        სხვა რომ არასდროს
                ყოფილა.

1984

ეიფელის კოშკი

სულის ცრემლი –
მთვარის ქვაზე,
თუკი სიყვარულით ლესე,
და მგოსნობაც შეიფერე,
მაშინ,
ყველა კარგი ლექსი,
კოშკი არის –
ეიფელის.

1992

სამეფო ფიქრის და წარსულის

აუუ!..
        რა შორსა ჩანს –
        უუძველესი კოლხეთის
        ცათამდე აწვდილი მთები
                  და ზეგანი.
მეფე აიეტი და მისი ასული.
        ხმამიუწვდომელი და
                  უკიდეგანო
გახლავთ ის სამეფო –
        ფიქრის და წარსულის.

2019

გახუა მეგრელაური

ცათამდე წვდება კოცონი,
არის დევები ღრეობა,
ჩხუბი და
აურზაური....
„ძმის ხორცი როგორ ვჭამოო“ –
არხოტიდან ხმა
მოისმის –
გახუა მეგრელაურის.

1960

დღეები...

ღამეები

ცის კაბადონზე ბედის ვარსკვლავი
ჩვენი,
ინთება...
ქრება...
ციმციმებს...
ენთოს, არ ენთოს ვერ ვწყვეტთ
არჩევანს.
დღით დაღლილები –
ღამით ვიძინებთ,
ღამეები კი სიკვდილს გვაჩვევენ....

2014

ლეჭსი და პოეტი

რა ქნას საწყალმა პოეტმა,
ვით დე გრიე და
მანონი
შეიპყრეს ის დემონებმა!!!\
თუმც მათ სურვილს
და კანონებს,
არ იქნა... არ ემონება...

2019

ჰეტერა

ასე ყოფილა,
ყოველივე ლიქნით
იწყება,
შეხედე იმ შენს ძუკნა
ჰეტერას,
როგორ უყვარდი თავდავიწყებით,
და ახლა,
როგორ გადაგემტერა.

1969

ხუშხეველი დევები

ავსულებით ავსებულა,
        რაც ღრეა და
                ხევებია...
ტკივათ,
        ტეხავთ მთებს სახსარი,
        რადგან არ ჩანს იახსარი,
მიგრიაულთ რომ ღრეობენ,
                ხუშხეველი დევებია.

1963

***

ამ წუთისოფელს ბევრი ედავა,
ბევრჯერ მოუხდა –
ბედთან კამათი...
და მერე გამჩენს გაუბედავად,
თხოვა სიკვდილი...
და „უსკლეროზოდ“
წავიდა ჩუმად...
საღ-სალამათი!

2019

სეგედილია

ცხოვრება ცეკვა და სიმღერაა,
ესე იგი – სეგედილია[1].
და სწორედ საქმე
ამაშია,
ყოფნა,
არ ყოფნაა
და სიცოცხლე –
ნახევარი სიკვდილია.

1961

[1] სეგედილია (ესპ.) – ხალხური ჩქარტემპიანი ცეკვა

ოსანა

(როსანა გოგიას)

კოლხური ციდან ჩამოფრენილი
ანგელოზი ხარ როსანა!
სიყვარულისფერ ხოტბას
შეგასხამ,
მითხარი, მეტი რა ქნას მგოსანმა?!
და... საიდანღაც ხმები მოისმის:
როსანა!
ოსანა[1]!
ოსანა[2]!

1954

---

[1] ოსანა (ბერძ.) – გვიხსენ
[2] ოსანა (ქართ.) – დიდება

ენქიდუ და გილგამეში

ხუთიათასწლეულია
ტიგროსის და
ევფრატის პირს –
უკვდავების წყალს რომ ეძებს,
ცხელ დღეებში,
გრილ ღამეში...
ხმა მეცნობა:
ენქიდუა!
ანდა არის –
გილგამეში.

1960

ვით ხიროსიმა და ნაგასაკი

ჟამს მიმწხრისას სასაფლაოზე
მდგარი ბებერი ცაცხვის
ტოტიდან
ცივი ყიყინი ისმის ვასაკის:
– მეც ვარ იქედნეს
შთამომავალი,
არავინ იცის ჩემი ასაკი.
გადამწვარია ჩემი სამეფო,
ვით ხიროსიმა
და ნაგასაკი.

1979

ექო

შორეული წარსულიდან
        წინაპრთა მოდის ექო:
        – სოფლად რთველი
                აღარ რთველობს
და ქალაქი ქალაქს არ ჰგავს...
        რა დღეს,
                რა ხვალ
                საქართველო,
უკოლხეთოდ თავს დაჰკარგავს!!!

1959

სიხარული

აკადემიკოს აპოლონ გადელიას

როდესაც განახავ,
გამიხარდება,
და აღიძვრება ძმობის მორევი...
სიყვარულის კარს
ჩემსკენ მოვხურავ!
მოვალ ძვირფასო და ძველ
კოლხურად
მარჯვენა მხარზე გეამბორები.

2019

ღვთისშვილები

როცა გაიგეს,
                    დევებმა
                    ხალხს მიაყენეს ზიანი!
წამს ხვთისშვილებმა ჩოხების
                    კალთები აიკარწახეს
                    და ამოწყვიტეს დევები
არხოტს და
                    უძილაურთას,
                    გომეწარსა და
                    კაწალხევს.

1962

ალიეტის მერმინდელი
კოლხეთის მეფეები

ჰონტოს პირას ქარის ენით
        მესმის ზვირთთა ლაპარაკი:
        – აქ, ყულევთან საარაკე
ბრძოლა ჰქონდა მეფე აკეს[1],
        ხარატა[2] დიდს
        და სავლაკის[3].

1960

---

[1] აკე – 340-310 ძვ. წ.
[2] ხარატა – 420-400 ძვ. წ.
[3] სავლაკი – 460-420 ძვ. წ.

ვარსკვლავი

ათასეულ სინათლის წლის –
სიშორიდან ძირს ჩამოაქვს
ღამეს სხივი და მოტივი,
ყოფილი და არყოფილი,
და... ვარსკვლავი თავს მაწონებს
ცის ტოტიდან,
ჯარგვალთან მდგარ
ბროწეულის ნაყოფივით.

1958

ნაბუქოდონოსორი

იმ დროს როცა სამყარო
ჰგავდა გამხმარ მუხას ან
ტოტგაბარჯღულ ხმელ წიფელს
მაშინ ზღაპრულ ბაბილონს –
ლეგენდებით მოქსოვილს,
ჰყავდა რვა ქალდეველი
მითიური ხელმწიფე,
ვით ნაბუქოდონოსორი.

1964

მტკვარი მეტეხის ციხესთან

(ვარიანტი)

ათასხუთასზე მეტი წლის წინათ,
მახსოვს აქ იყო გაუვალი
ტყე და ეწერი.
და ღამეები ხელმწიფესთან
ერთად მეც ვტეხე...
აი,
ახლა კი მტკვარი –
მეტეხთან
ჰგავს გორგასალის უკვდავ ხელწერას.

2001

სტუდენტობა

ბინა?!

თაგვი კუდს ვერ მოიქნევს!

ციდან მთვარე კი,

როგორც სიბილა

დასცქერის მიწას...

და მე მარტოვარ.

კი, ერთი ორჯერ სიხარულმა

შემოირბინა,

ვით ფეხშიშველმა გოგომ

მეზობლის,

და მერე დაფრთხა...

და მიმატოვა...

1956

ხორგა

ჩამოველ, სოფელს მონატრებული...
კვლავ მივალ უკან,
ამ სამოთხიდან,
მაგრამ უეცრად მოსეს შუკასთან,
ფეხმოდრეკილი
და ცხვირკაუჭა,
არ გაგიშვებო თბილისს,
აქედან,
მოულოდნელად ეკალ-ბარდი
ჩამებღაუჭა.

1956

მტკვარი

თუნდაც რომ იყო წვიმა და ქარი,
მეტეხთან მაინც ჩერდება
მტკვარი,
რომ იქვე ახლოს –
ველზე კრწანისის,
/სადაც ბრძოლის ხმა
ახლაც გაისმის
და წარსული ღალატს დასტირის.../
დაცემული არაგველების
ხსოვნას მიაგოს წუთით პატივი.

1967

ფშავში

„ ... დევი გაიქცა და აბდელაურის
ტბაში ჩაძვრაო“
ქართული მითოლოგია

თუმც ცოტა დამაგვიანდა...
დევების შეშინებული
ხალხის მომესმა ხმაური....
ლახტი რომ ტყორცნა კოპალამ,
იმ დევს დავეძებ
ნიადაგ,
დიდ ტბაზე აბდელაურის.

1959

ციცინათელა

ციდან ჟონავდა მთვარის ციალი,
მაგრამ უეცრად ხმაზე
ქუხილის,
ყოველივე წყვდიადმა დაფლა...
და იმ წყვდიადში
ციცინათელა
ისინალებდა ხსოვნას წვეთ-წვეთად,
თითქოს მაჩაბლის
ეძებდა საფლავს.

1958

2007

მომწუხრისას სამეგრელოს
        დამაშვრალი, რომ შევუვლი,
გნახავ „ფსალმუნების ბაღში“
        ორივე თვალდახუჭული,
ვით მამალი შაშვი გალობ...
და სამოცდაათს –
                მიღწეული,
        დადიხარ და...
                დაფრანგალობ.

2007

მზე

თუ მზე ღმერთი არაა,
ღმერთთან არის ზიარი:
არა,
მოხეტიალე,
ბოღმით სავსე ღრუბლები.
ერთადერთი მზე არის,
შვილი –
თავისუფლების.

1966

***

საწყალი კაცობრიობა –
        მარად სიცოცლის ნდომი...
        სისხლი –
                ცრემლი –
                        და ოფლი –
ნეტავი არის რომლის,
        ქვედა თუ...
                ზედასოფლის?!

1979

კოლხური ბაღი

ათასწლეულლების იქით,
ფაზისპირ, –
„კოლხურ ბაღის“
ზღვაში თეთრი აფრებივით,
იდგა ალუჩა და
ნუში...
და სწორედ დღეს იმ ბაღიდან
მესმის კოლხურ ყვავილების
„ხვევნა,
კოცნა,
მტლაში-მტლუში“.

2019

ქორწილი

ათასჭირ-ვარამ გადანაყარი,
უკან მოყვება დარახტული
მთათა მაყარი,
ღიაა მცხეთის ოთხივე კარი....
თბილისს გაისმის
სიონის ზარი...
და რადგან ღმერთმა ასე ინება,
სვეტიხოველთან –
ჯვარსა წერს „ჯვარი“,
მტკვრის და არაგვის დაქორწინებას.

1961

არმაზი,
ითრუჯანი

ის პატარა სამყარო,
ცეცხლის მოთაყვანეთა
ცეცხლით გადაირუჯა...
მცხეთას –
არმაზს[1] ფიცავდნენ,
ქალდეაში –
ითრუჯანს[2].

1969

---

[1] არმაზი – წარმართ ქართველთა უზენაესი ღვთაება
[2] ითრუჯანი – ქალდეველთა ღმერთი.

პოეტი – კამერტონი

თუ პოეტმა თავისი
სმენა –
გააფაციცა
და მიბაძა კამერტონს,
ძალუძს
ერთი ტაეპით,
რომანს გადაამეტოს...

1965

მთვარე და ვარსკვლავები

მელოტი მთვარე ბედუინივით,
ცის უდაბნოში
ვერ მორჩა ყიალს,
ღრუბლებში სრბოლამ
ვეღარ მოქანცა.
ზღვაში იმდენი
ვარსკვლავი ყრია,
ამობრუნებულს –
მოჰგავს ცას.

1955

აბო თბილელის „ნიშა“ მეტეხის ციხესთან

ანგელოსივით –
თეთრითმოსილი,
უცებ იელვებს სახე გრანელის,
მეტეხთან,
სადაც მოჩანს „ნიშა“-რა.
და მტკვარიც წუთით აქ სვლას
ანელებს,
აბო თბილელის წმიდა ხსოვნის
აღსანიშნავად.

1958

ჩემი ლანდი

მზის ძახილი აღარ ისმის
        და მთვარე კი ფეხშიშველი,
        სადღაც მიდის, როგორც განდი,
არც ძმა ჰავს და
                    არც ძმობილი.
        ცივ ქვაზე ზის ჩემი ლანდი,
ცხრა პირი ტყავ –
                    გაძრობილი...

2019

ქედები

ცხრა მთის იქიდან –
გადმოსულები,
ყივჩაღებივით დგანან
ქედები.
და სივრცეებს შიშით ტვირთავენ...
ბარად კი შენი
შემოქმედება,
ზღვაა მშფოთვარე,
მარგალიტებით სავსე
პირთამდე.

2019

სიცოცხლე,
სიკვდილი

ძველითაგან ნათქვამი არის:
ზე-ციდან მოწყვეტა
მნათის,
მომასწავლებელია ავის...
სიცოცხლე –
წინამხარეა მთვარის,
სიკვდილი –
უკანა და შავი.

2019

დღე,
ღამე

ცა ისევ ისე იტკივებს მუცელს,
უნდა რომ წვიმა
იმშობიაროს,
ელვის გაკრთომა მოჰგავს მის კივილს...
დღეს –
ცეცხლისმფრქვევი
მზის გული უცემს,
ღამეს – კი მთვარის,
ყინულზე ცივი.

2019

მწოლიარე ლექსები

სად არიყავ...
        დედამიწა მოიარე...;
        ისევ ლექსით გახდი ავად,
დაწექი და...
        მწოლიარემ
        წერე...
        (წერით ხარ სნეული)
ახლა თვალი სიხარულით გევსება...
        „ფსალმუნთა“ – 100 ტომეული,
        შენ მონათლე –
        „მწოლიარე ლექსებად“.

2019

სემირამიდას ბაღი

ჩაუქრობელი ცეცხლით,
ომებით,
თუმც შეიცვალა ბევრჯერ ამინდი,
/სასურველი თუ
არ სასურველი/,
მაინც ჩემამდე მოდის სურნელი
„ქალდეველების“[1] ბაბილონიდან –
ბაღის –
ღვთაებრივ სემირამიდის[2]...

1968

---

[1] ბაბილონს (მამა-შვილის) – ნაბუქოდოსა და ნაბოქოდო ნენცარის/მენცარი, ვ. ე./გარდა ექვსი მეფე ჰყოლია ქალდეველი.

[2] სემირამიდას ბაღი – მსოფლიოში ერთ-ერთია შვიდ საოცრებათაგანი, რომელიც მიეწერება ასირიის ლეგენდარულ დედოფალს – სემირამიდას.

შესანიშნავი შვიდეული

მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“ ასტომეულზე

საქართველოში,
ვით დროს რუსთველის,
პურის მარცვალი
შვიდიოდე ამოთავთავდა...
მორჩა!..
გათავდა!..
ამაოა აწი მცდელობა!
ვერავინ შეძლებს ეგრისელობას.

2019

აპათია

გ. ს.

ნეტავი რას მოასწავებს,
        გუშინ მზისებრ მოყვავილე,
        დღეს კი უცებ აპათია[1],
რა ზნე არის,
        რა ბუნება?!
        ღმერთიც ადარ გაპატიებს,
შენ!
        მის გაუდაბურებას!!!

1977

[1] აპათია (ბერძ.) – გულგრილობა, უინტერესობა, უხალისობა.

5000

ვარსკვლავების,
        მზის და მთვარის,
        ცაა – ოქორს სამარე,
ისევ ცოცხლობს იმედი...
        როგორც მაშინ –
                ხუთი ათასი
წლის წინ –
        კოლხეთ-ქიმეთის[1]
        დიდ ხელმწიფის –
                ან მარეს.

1997

[1] ქიმეთი – ეგვიპტის ძველი სახელწოდება.

ცა-ქუდად,
მიწა-ქალამნად...

მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“
100-ტომეულზე

ეს რა ჰქენი ეგრისელო!
გლეხის ბიჭმა ალალმა,
რომ მილეთში –
შენ ერთადერთს
ცა – ქუდად არ მიგაჩნია,
დედამიწა –
ქალამნად!

2019

არმაზი და ბაგინეთი

საქართველოს დამაქცევარ
უფალს არ შევაგინებდი,
რომ წამითაც
არ მენახა,
დაქცეული უფლის ციხე,
არმაზი და
ბაგინეთი.

1970

დედა

რაც შენ წახველ,
არაფერი არ შეცვლილა,
ლურჯია ცის კამარაც.
ისე,
როგორც ოცი წლის წინ,
კვლავ იტაცებს ქორი წიწილს,
კვლავ ითხრება
დედა!
შავი სამარე.

2003

ოთხი საუკუნის მერეც

ათასფერად მოყვავილეს –
ციცქნა ნაჭერს –
საქართველოს მოვხევ ცის
და ჩავიტან ფერეიდანს,
რადგან ოთხი საუკუნის
მერეც ვხედავ საქართველოს
ცისკენ კისერმოღრეცილს.

1963

გათენება

ზევსმა[1] წყვდიადს სტყორცნა მეხი,
შეშინდა და ცა გაფითრდა!
და დაუსხლტდა მთვარეს ფეხი,
უფსკრულში გადაიჩეხა...
ელვაც გაკრთა...
ეს ნიშნავს რომ,
სიჩუმეში –
მოდის მითრა[2].

1964

[1] ზევსი (ბერძ.) – ღმერთების და ადამიანების მამა, ღმერთი ცისა, ქუხილისა, ელვისა და წვიმისა.
[2] მითრა (სპარს.) – სინათლის ღვთაება.

ის

ა. ჯ-ს

ხვთის ღალატი სულ გაყიდულს,
ეშმაკმაც არ აპატია
და შეჰყარა სნებასა და
აპათიას.
მაგრამ მასზე უფლის ზრუნვამ,
და სანთლის და
საკმეველის
სურნელმა და შვიდგზის ლოცვამ,
სამუდამოდ ის განკურნა.

2019

მერკური,
პლუტონი

განა მერკურისაკენ[1],
პლუტონისკენ[2] ისწრაფვი,
როგორც ქვეყნად არავინ...
/ელვის კრთომას ამეტებ.../
და დაეძებ სულ ცინცხალ
სფეროებს და
პლანეტებს,
რომ იქ დასცე კარავი.

1960

[1] მერკურამდე – 160 მილიონი კილომეტრია.
[2] პლუტონამდე – 6 მილიარდი.

წარწერები ლოდებზე

უსინათლობას გოდებს მზე...
        დღეები მიცვალებულთა
        სულებს ბნელში კვლავ
                არწევენ...
და ხვიარები ლოდებზე
ჰგვანან დამწყები სიკვდილის
        გაკრული ხელით
                წარწერებს.

1959

ნიბირუ

ა, კოლხეთი,
მხის აკვანი აქ დაირწა...
/ვით შუმერთა შთამომავალს,
შიში მარტო მე მეზიდა[1]?!/
რადგან ვიცი, ქვეყნად ოდეს!
ადამის ძის მოდგმის მტრებო,
გიხაროდეს!!!
გვერდს ჩაუვლის ნემეზიდა[2]
და... მშვიდობით დედამიწა|

1963

---

[1] შუმერთა კალენდრის მიხედვით მეცამეტე პლანეტა ნიბირუ, იგივე ნემეზიდა, დედამიწის ახლოს ჩაუვლის და... ცამდე აწვდილი ზღვები და ოკეანეები შთანქავენ ყოველს... /ღმერთმა ნუ ქნას!/

[2] ნემეზიდა (ბერძ.) – შურისძიების ქალღმერთი

სამადლობელი

მადლობა უფალს რომ ამარიდა
მრავალ ქარიშხალს
და გრიგალობას...
სხვა ათასისგან რომ ვარჩევ,
მე,
ჩემი შაშვის გალობას!
დიდია ძალა გამჩენის,
კვლავ ველი მისგან
წყალობას!

2019

ზღვაო

გაჩენის დღიდან ხმელეთთან,
სულ რომ ჩხუბობ
და დაობ,
და ზე-ამოსვლას ცდილობ,
ზღვაო,
შენ ჩემო დაო,
ჩემო ძმაო და
შვილო!

1953

აიეტის სასახლე

სეტყვასა და ქარიშხალს,
მიწის თავზე შლი ნამად...
უნდა გახდე საჩინო;
ხუთიათასი წლის მერე,
აიეტის –
სასახლე
უნდა აღმოაჩინო,
ვითა ტროა
შლიმანმა.

1970

უფლის ციხე

სახელი კაცის –
ღვთის ნაკურთხი
ღვინოა ძელგი,
და მორთმეული თავად ღვთის ხელით...
დგას უფლის ციხე,
ვითარცა ძეგლი –
უსახელო –
უფლისციხელის

1966

მოსკოვური შემოდგომა

სიხარული ჯერ არა ჩანს,
        მაგრამ,
                ალბათ შემდეგ მოვა,
ჟამი მზის აყვავების,
        მოსკოვური შემოდგომა
        დახუნძლულა –
                ყვავებით.

1981

მთვარე

მზისებრ სახე გაბადრული,
ღამღამობით ძირს ჩამოდის,
ზოგჯერ დედა
აწვენს ბანზე,
კოლხეთს,
მთვარე სულ ახლოა,
სულ,
ხელის ერთ გაწვდენაზე.

1969

მოგონება

ისლით დახურულ მეგრულ ჯარგვალში,
შუაკერასთან ანთია ცეცხლი
და ცეცხლთან ახლოს
დგას ორი კველა[1]
და ცხრავე და-ძმა ზედ ვსხედვართ ყველა.
მამა კი ზღაპარს აღარ
ამთავრებს:
– დევი მოკლესო, სადღაც სინას მთებს.
გარეთ კი ბნელა...
მოდის ზამთარი
და თოვლის შუქით
გზას ისინათლებს.

---

[1] კველა (მეგრ.) – ხის გრძელი ძელი, დაბალი სკამი.

1955

ვარსკვლავიანი ღამე

ჩამომდგარა რიბი-რაბო...
შუქზე ღამის და
მჭლე დილის,
იები და ჩანს ვარდები....
ცა ისეა ვარსკვლავებით
მოჭედილი,
ნემსიც აღარ ჩავარდება!

2019

მონატრება

ნეტა,
        იმ დროს როდესაც
        ცისკრის საყივლელად როს,
        ვით კოლხურმა მამალმა,
ყელი რომ მოიღერე!
... იმ დროს,
        როცა დგებოდა კვამლი
        თმებს რომ იშლიდი.
ახლა მღრინავ სიბერეს
        ხდები ლომის სიმშვიდით.

2019

დევის კოშკი

შორს,
        დარაჯად დგანან მთები,
        ნისლის შავ-თეთრ აფრიანი,
მათ,
        ცა ჩუმად უთვალთვალებს...
        მთვარე ჩანს,
                ვით დევის კოშკი
და ღრუბელი ელვის თვალებს
                ცამცუმივით აბრიალებს....

1964

ჩემი მშვილდ-ისარი

ჩემი მშვილდი და ისარი
        სულყოველთვის
                    აღწევს მიზანს,
და ეს ცოტა არის განა?
        მე,
        სიკვდილი რაღას მიზამს,
თუ სიცოცლემ
                    არ მიგანა!!!

2014

***

მაშინ იყო ზღვა კარგი,
ქარიშხალში როდესაც
ლომის ფაფარს
იშლიდა.
ახლა ძალა დაკარგა
და გულზე ხელდაკრეფილს,
კვლავ დასტირის –
სიმშვიდე...

1999

ავთანდილ და არამისი

ბნელთან ჩხუბს და აყალ-მაყალს,
        მზე, რო მუდამ
                მართავს დილით,
იმდაგვარებს ჩემი გული –
                სამუდამოდ ალალ მისი,
                ასეთები იყვნენ თურმე,
აქ – ქართველი ავთანდილი
                და იქ – ფრანგი
                არამისი.

1973

კაჭკაჭები

ზამთარია...
კაჭკაჭები თავის კვერცხის
ჩასადებად
დაეძებენ კვლავ სხვის ბუდეს.
ერთი კი ზის ხის ტოტზე და
მზეს იფენს,
სხვები მიმოდიან გზის პირს,
მიათრევენ
გრძელი კუდის
შლეიფებს.

1979

კავკასიის მთები

დე,
        გაიგონ დიდმა მთებმა
                  და ქედებმა...
        რა ვქნა მეტი...
                ვამბობ დაუფარავად:
რა ანდები!
        რის ტიბეტი!
        ქვეყანაზე არ ჰყავს ტოლი,
კავკასიის მაღალ მთათა
                  ქარავანს.

1963

ზღვა მწუხრისას მიიცვალა

სხივებს ათასფერად აჩენს,
მზე,
თითქოს და ფაკირია.
ზღვა მწუხრისას მიიცვალა
და ელვით ცა პირსიხოკს და
თოლიები
დაკივიან...

1974

ყვირილა

გიკვირს!
        როგორ გამხდარა,
        მოუკუმავს პირი რად?!
და დიდი ხნის უნახავს,
        სიხარულის –
                ყვირილით,
რომ არ გვხვდება
                ყვირილა!

1991

დღეები,
ღამეები

ბნელეთს სერავენ –
ღამით მამლები,
ყივილის გრძელი
პროჟექტორებით
და მერე დილა გვიწვდის მზის ხელებს.
დიდ სიახლეთა ველით
არჩევანს...
რაქნან დღეებმა,
სიზმარეულ თვალებს
გვიხელენ,
ღამეები კი გვიხუჭავენ...
და ნელ-ნელა სიკვდილს
გვაჩვევენ....

2019

ძახილი

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“
ფსალმუნი (83)

კოლხთა შოორ წარსულიდან
    განწირული ხმა ისმის,
    წვიმაა თუ ქარია:
ჩვენთვის ღმერთი უფალი
    ისევ –
        „მზე და ფარია“.

1960

შიში

აღარცსაიდან მოხველ!!!
        და მაინც,
                რადგან იშვი!
ადამის მოდგმავ!
                ფეხდაფეხ –
        დაგდევს სივდილის შიში,
რომელსაც ფერი ადევს
                მგლის,
                ან
                გაცრილი ქვიშის.

2019

მთვარის უკანა მხარე

ელვა გაკრთება უცებ
        და ცის იღება კარი:
        მოწყენილი და
                ქუფრი,
კვლავ გამჩნდება უფრო,
        წინა კი არა,
                მთვარის,
ცივი,
        უკანა მხარე.

2018

ცის სასახლე

კლდეზე შემდგარ –
ცის სასახლეს,
მოვერცხლილს და
მოოქროვილს,
დღისით – მზის და
ღამით – მთვარის
ადევს –
ვეებერთელა
ბოქლომი.

1962

დაოსი და გურამიშვილი

ცოდნას ღებულობს იგი,
ვინც რომ სოფელთან
დაობს
და არ ნებდა სიკვდილს,
თავის ცოცხალი თავით,
ისე,
ვით დიდი დაოს
ან,
ვით გურაამთ დავით.

2019

15

სიკვდილს,
ქვეყნად ყოვლის მხილველს,
დაჰკარგია თვალს ჩინი,
ომბალოსგან ქინძს ვერ
არჩევს
და ჰგონია დარიჩინი.
თხუთმეტის ვარ...
ხიდან მაგდებს!!!
და სიცოცხლეს მე მიჩივის!!!

1956

ᲬᲕᲘᲛᲘᲐᲜᲘ ᲦᲐᲛᲔ

ადარ ბღავიან ჰელიოსის
ცეცხლის ხარები,
და არც ზვირთები პოსეიდონის.
დადუმებულა მთა და მინდორი,
მხოლოდ ღრუბლები
დახარხარებენ...
არა ჩანს მთვარის –
ციხე-სიმაგრე
და არც ვარსკვლავთა
ნასახლარები.

1965

სიყვარულით სნეული

დღე ერთია,
ათასჯერ,
ჩემი დიდი კოლხეთის –
ახლო არა, შოორეულ –
ხუთიათასწლეულის
ედემ-ბაღში ვბრუნდები,
ნახვას –
მონატრებული,
სიყვარულით სნეული

2019

ჩემი ხმა

ველარ დაუკარგავს შიში,
მტერთან ბრძოლის
იერს სტრიქონს,
რადგან მთელი რწმენით ვენდე!
და ჩემი ხმაც –
ბოროტების
დასცემს კედელს,
ვით საყვირი იერიქონს.

1954

თარაზული

მზეც და მთვარეც ცას ჰკიდია,
სხივები აქვთ თარაზული
და სიკვდილიც ძირს ჩამოდის.
რომ სიცოცხლე თარაზულად
ცხრაკლიტულში ჰყავდეს
მუდამ ჩარაზული.

2013

სქანი გოლუაფირო

სამშობლოვ შენს სიყვარულს –
უშქარს და
უნაპიროს,
ვახვევ შარავანდედში,
ვით იაგუნდს და ბივრილს,
იასპს,
ძოწს და
საფირონს,
ფეშქაშ!
ჩემი სიცოცხლეც,
„სქანი გოლუაფირო“[1].

1959

[1] შენ შემოგევლე – (მეგრ.)

გათენდა

წკვარამ ღამით მოსილ ნათელს,
ბნელიდან რომ უხმობს მზეა,
რბის აღსავლით...
არვის ერჩის!
არჩანს დილა...
მამალი კი უზმოზეა,
მიტომ ყივის –
ხმა ჩახლეჩით.

1959

საქართველოს

შენი უღმერთო წარსულით –
ყმაწვილს ცრემლებს რომ
მადენდი;
დღეს,
გხედავ ბორკილ-დამსხვრეულს,
„ლაშარის გორზე შემომდგარს“,
და მოსილს შარავანდედით.

1991

ხილვა; აიეტის სასახლე

(ვარიანტი)

რაც რომ მარადიულია,
ჟამთა ბრუნვა ხელს ვერ ახლებს!
ისევ დგანან
ის მთები და
ის ხედები!
მიტომ ხედავ აიეტის –
დიდ სასახლეს,
სუთიათასი –
წლის იქით რომ
იხედები...

1962

ნახვამდის

არ უნდა დიდი ფილოსოფია,
        რა საჭიროა
                დიდრო და კანტი.
ცხოვრება თვითონ გვასწავლის ილეთს.
        იცის,
                თუ როგორ
                        დაგვიდოს კვანტი,
და მერე გვიღებს სამგზავრო ბილეთს!!!
                        მერე... ნახვამდის!...

2019

მტკვარი და ენგური

აღმოსავლეთ –
        დასავლეთით,
        საქართველოს მიწაზე რომ
        სიყვარულით ერთად მოდის,
ჩვენი ენგური და მტკვარი,
            უხარია სვანს და
                მეგრელს,
მესხეთში კი მესხს და ხერთვისს.
        მაგრამ...
            ორივ ცოცხალ-მკვდარი,
სულს აფრთხობს და მაშინ კვდება,
        როცა კასპსა და
            შავ ზღვას ერთვის.

1970

***

ძილგამტყდარო ვარსკვლავებო,
ბნელ ღამეს რომ
მისანათლებთ,
გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი.
და ვგრძნობთ
იდუმალებას,
ცის და მთელი
პლანეტის...

1964

მეტეორთა გულისცემა

ვერ გაიგო იკაროსმა
ლოცვა...
და ვერც მიწის წირვა,
როცა მზისკენ გაიპარა.
ვედარ იგრძნო ვერც ბრუნომ
და ვერც ნიცშემა,
ვითარცა შენ! –
კომეტების თავგანწირვა,
მეტეორთა გულისცემა.

1959

ლოცვა,
წყევლა

უფლის გარდა არვინ უწყის,
ვინ შენდება!
ვინ იქცევა! –
რომ გაიგო ბიბლიაში
უნდა შევლა,
იქ წერია,
როგორც ლოცვა,
ისე წყევლაც,
ზეცისაკენ მიიქცევა...

2019

მესამე

ჰორიზონტებს იქითაც
ჩუმად რომ მიესალმე,
ცის თვალსა და
გულის თვალს,
იმან გააგულისა
თვალი იგი –
მესამე.

1971

მიწა, ცა

საწყალი მიწა გულიდან
აფრქვევს დარდების
ოხშივარს,
ცაც ასე...
მზე წვავს ორივეს.
ჩვენ კი ნიადაგ
ომში ვართ...
და ამქვეყნიდან წასვლამდე,
წამით არ ვტოვებთ
ბრძოლის ველს.

2019

სანსკრიტული

რუსთაველის ტკბილი ენა,
მორაკრაკებს,
ვით ბინული...
მაგრამ ენა სანსკრიტული,
ვით ინდური და
ჩინური,
ჩემთვის გახდა ცხრაკლიტული.

1992

ტრამონტანა

საიდანღაც მომავლის,
შოორეული ხმები ისმის
ტრამონტანის[1]
და ქარიშხალს აფრა გალობს...
ზღვა –
მთვრალივით
დატორტმანობს
და ტალღა კი
ნაპირ-ნაპირ
დაფრანგალობს.

1955

[1] ტრამონტანა (ესპ.) – ჩრდილეთის ცივი ქარი ხმელთაშუა ზღვაში.

ქართული სული

(ვარიანტი)

რა წარღვნა!
        რისი მიწისძვრა,
        ეს –
                სული არის ქართული,
მიწაზე, რომ ვერ ეტევა,
        ასე ძალობს და აშარობს...
        და სურს ზე-ცაში
                საფრენად,
ვით ალბატროსმა,
                ქართული –
                ფრთები ამაყად
                გაშალოს.

1960

ნიბირუ,
ასტეროიდი

ჩვენთვის მარად უცნობი,
ათასფრად შენიღბული,
სადღაც,
შიშით დრო მიდის...
ჩვენ კი ველით ნიბირუს,
ჩამოვარდნას ზეციდან
და ან ასტეროიდის.

2019

მომავლის პოეტი

„ .. ვაჟა ეგრისელი მომავლის პოეტია.“

იოსებ ნონეშვილი

არასოდეს გართობდა
ხმა დაფის და
წინწილის.
და შენ გიცნეს „მომავლის პოეტად“...
და იმ კაცად,
ვისი ნორჩი სახელი,
ვითა ქორმა –
წიწილი,
უცებ რომ აიტაცა.

1961

ცრუ რწმენა

მიყვარხარ და...
ცამცუმის,
ოქროს კოშკი აგიგე!
ეს ვინ უთხრა მამაშენს?!
ვიცი,
ცუდს რომ გავიგებ,
რადგან თვალი მარცხენა –
დილიდან მითამაშებს.

1954

ბედი დიდი პოეტის

ასჯერ არა,
ათასჯერ
ვოქვი და კვლავ ვიმეორებ,
რომ რაღაცით ერთმანეთს
მოჰგავს დიდი პოეტის
ბედი,
ბედს მეტეორის,
და ანდა ბედს კომეტის.

2019

ზღვა

შავი ღრუბლებით –
თმა გაბურძგნული,
ზღვა მოჰგავს დემონს,
/თუ ნება მისცა ქარის
წელკავმა/.
ამოსვლას აპირებს ზემოთ,
დედამიწის –
წასალეკავად.

1962

აპოლონი,
დიონისე

აპოლონზე[1] მიცემული,
კვლავ გავტეხე მტკიცე ფიცი,
ვეძალები ღვინოს ისევ.
სასიმღეროდ –
ვეღარ ვიცლი,
ვერ ვღალატობ,
დიონისეს[2].

2000

---

[1] აპოლონი (ბერძ.) – ხელოვნების, სინათლის, წინასწარმეტყველების ღმერთი, ზევსის შვილი.
[2] დიონისე (ბერძ.) – ღვინისა და დროსტარების ღმერთი, აპლონის ძმა.

მთვარე

სანამდე ელვა ქორივით,
ჩაუქროლებს ვარსკვლავებს
ცის ლურჯ მინდორზე
გაფანტულ
ხვთის – ოქროსგულა წიწილებს.
და სანამ შეძრავს სამყაროს
ზევსის რისხვა და ქუხილი,
მანამ მთვარე შიშს იწივლებს
და ფრთებსქვევშ შემოიყუჟებს
მნათობებს დედა კრუხივით.

1958

ამირბარო,
სპასპეტო
და სპასალარო

წადი ისე!..
ამასოფლად,
არაფერი დაიბარო!
თუმც იციან, რომ სხვა მეტობ...
სხვა განძი გაქვს,
სხვა სალარო!
ქართული სიტყვის მეციხოვნევ –
ამირბარო!
სპასპეტო!
და სპასალარო!

2019

ხილვა: გიორგი ჭალადიდელი

მომწუხრია...
        და ყორათის
                არჩანს ხიდი,
ციცქნა წყალი ჩანს ადიდდა,
        თუმც ლოდები
                ისევ იქ დევს.
ვჭვრეტ გიორგი ჭალადიდელს,
        ჩაფიქრებულს ჭალადიდთან.

1955

***

ვინც ჭირში მყოფს
გულგრილად
გვერდზე ჩუმად ჩაუვლის,
არის ქვეყნად ყველაზე
დიდი დანაშაული.

2002

სპირიტული

სიზმარეული ბილიკებით,
საიდანღაც მოსულთ სოფლად,
არც ცოდნა გვაქვს
არც ტიტული,
მიტომ ქვეყნად კაცის ყოფნა,
სეანსია –
სპირიტული[1].

2009

[1] სპირიტული (ლათ.) – ცრურწმენა, ვითომ შეიძლება მიცვალებულთა სულების გამოძახება და მათთან ურთიერთობის დამყარება.

გუგული

გაზაფხულიდან შემოფრენილი,
„კაფე – თესეო!“
კვლავ ხმობს
გუგული,
და მიძინებულ სოფელს აღვიძებს...
თავისი კვერცხი
ისევ უდევს შინ,
და სურს რომ ჩადოს სხვათა ბუდეში,
სხვამ გამოჩეკოს ბარტყი
უგულოდ!!!
.....
„კაფე – თესეო!“ – კვლავ ხმობს
გუგული.[1]..

1963

[1] გუგული – დედამიწაზე ერთადერთი ფრინველია, რომელიც თავის ბარტყებს სხვა ფრინველ აჩეკინებს.

მზე, მთვარე

ღამემ ჩაყლაპა მთვარე,
ვითა სინათლის აბი,
მზე კი წყვდიადში
მიცოცავს.
არ ეშინი დაბმის.
ძლიერი არის სიცოცხლე,
მაგრამ....
სიკვდილი ჯაბნის.

1967

ისევ კოლხეთი

კოლხეთი არის „ბიბლია“,
გაუძლო მღვრიე დრო-ჟამს,
ყურს არვინ უგდებს,
მოშურნე,
მასზე, თუ რამეს როშავს!!!
შეხედეთ ღამით კოლხურ ცას,
ოქროს მნათებით მოჭედილს,
ვით მოჰგავს –
ციურ სამოთხეს
და ამერიკის დროშას.

1959

1959

შუქმილეული თვეა ენკენის,
ვიღაცის საფლავს
მიწას აყრიან,
ცვივა ბელტები და იბეკენბა...
და მე არყოფნის –
ფიქრი მაშინებს.
ჯერ ვარ თვრამეტის,
მაგრამ საშინლად,
ახლა,
წინდაწინ მტკივა ნეკნები...

1959

ხილვა – ვენერა მილოსელი

ეშმა მოწყობდა გამოცდას
        და...
                როცა ღმერთზე ვილოცე,
ზე ავიხედე,
        ღრუბლებში,
        უმკლავო მთვარე –
                გამოჩნდა,
ჰგავდა ვენერა მილოსელს.

1962

***

აბაზებმა და მაჰმადხანებმა,
ქართვლის წარსულის
ასწლეულები,
ბევჯერ მოგვიკლეს...
და მერე ბეკნეს.
ჩვენს ციხე-ტაძრებს ოქროს ქონგურს
უმტვრევდნენ ისე,
ვითარცა ნეკნეს
და ტყვედ მიჰყავდათ ულამაზესი
ჩვენი მზეთამზე,
ნინო და თეკლე...

1969

ისევ პარას ჭალა

არესისა და,
        პარას ჭალაში,
        ჟამი კვალვ უსვამს –
დავიწყების ოქროს შალაშინს.
        და დილის ნისლში
                არ ჩანს არავინ,
მეფობს სიჩუმე –
                გულშემზარავი...

2019

დაფნა

სუროც მწვანეა,
        მაგრამ სხვაა სიმწვანე დაფნის,
        მასში მოისმის უკვდავი ხმა
                ლირის და დაფის.
მის ხშირ ტოტებში ჩიტუნები
                ბუდეს იწნავენ
და ჩეკენ ბარტყებს,
                რომლებიც მერე,
გალობენ მის ღვთიურ სიმწვანეს.

2019

* * *

როცა ამოვა სული ტანიდან,
მერე კი არა,
იმ წუთს,
იმ წამსვე,
ცად აფრინდება ჩემი არყოფნა
და ვარსკვლავების
ჭუჭრუტანიდან –
ჩამოიხედავს დედამიწაზე,
შენ რომ გიხილოს.

2019

მამლები,
ყვინჩილები

გამთენიისას ატყდნენ ქარები
და ცა ღრუბლებით
დაანაგვიანეს.
დუმან მამლები....
იჭაჭებიან ყვინჩილები,
მაგრამ მზეს ხმას
ვეღარ აწვდენენ,
და მზეც ამოსვლას
მით აგვიანებს.

1953

საადმირალო

სავსე შიშით და ხიფათით,
აქ ისევ რბიან
წამები
– ირემო მთასა მყვირალო!
მთა –
არის შენი
სამეფო!
ზღვა –
ჩემი საადმირალო!

1960

ითრუჯანი

რადგან მზე აღარ ლამპარობს,
სამყარო ასე გაფერმკრთალდა
და გაილურჯა...
და არც მითრას[1]
და აღარც
აპოლონს[2],
ქალდეველთა ღმერთს
ვუხმობ
ითრუჯანს.

1976

---

[1] მითრა (სპარს.) – სინათლის ღვთაება.
[2] აპოლონი (ბერძ.) – სინათლის ღმერთი.

ვარსკვლავიანი ღამე ნაბეღლავთან

ბილიკების მოხრილი ყანწით
მთებმა შესვეს,
გემო უქეს
– თავს იწონებს ნაბეღლავი...
ვარსკვლავებმა –
ამდენ შუქით,
დააბრმავეს ღამე ლამის.

1979

***

ქალკედონის კუნძულზე
ვეძებ ქართველ –
„ათონელთ!“
ვით თორნიკე ერისთავს,
და გიორგი მთაწმინდელს.
(მათ აქ ყოფნის მოტივებს).
სხვამ იკითხოს,
სხვამ თორემ,
ვით ჩემს ხუთთითს ისე ვცნობ,
მე ხუთივე კონტინენტს.

2019

ტყე

ტყეა ბუნების დედა
        და ყველაფერი ესმის,
        და ყოველივეს ხედავს –
რაც ხდება მარცხნივ,
                მარჯვნივ,
რომ ხეებს სტკივათ ფეხვი,
        ფესვს – კი
                ტანი და ვარჯი.

1969

სიყვარული

შენ ყველა გიყვარს ბედად,
ეროვნება და
რასა,
მათი ლხინიც და სევდაც.
შენ იმას ხედავ რასაც,
მამაუფალის გარდა,
ქვეყნად არავინ ხედავს...

1960

ოკეანე,
ზღვა

კაცთა მოდგმის ცრემლებია,
ოკეანე,
განა მართლა,
არის წყალი,
ის გლოვა და ნაზავია დარიშხანის.
ზღვა ზეიმობს
გამარჯვებას
ქარიშხალთან,
რადგან მისი არჩანს კვალი.

1976

როიალი

მარწკინიებით[1] აყვავებული,
        მწუხრია ჩუმი
                  და მორიალე –
და ბნელ ოთახში ხმა როიალის –
            ხან მიყუჩდება
            და ხან აიშვებს...
და ნათლად ვხედავ
            მოქათქათე კბილთა –
                  კლავიშებს.

1986

[1] მარწკინიები (მეგრ.) – ციცინათელები.

ზაფხული მთაში

ზაფხულია და ხარობს ბუნება
        და მთებს,
                ქედების
                უჩანს ნეკნები –
ნაავდარი და ნაზავთარი.
        მაგრამ სულ მალე მოვა
                ზამთარი
და მოქათქათე თოვლის ფეხებით,
        მთათა სამარეც
                დაიბეკნება.

1959

ლასკალა და პასკალი

რა ქნას, ვუყვარვარ...
        და რითმებით
                თავს კვლავ მაწონებს:
ამბობს ლა სკალას,
მასთან პასკალის...
და ერთმანეთში ურევს ორივეს,
                დგება მორევი,
                სიყვარულით გასანასკვავი.

1956

* * *

ყოფნა ზოგისთვის ედემ-ბაღია,
მაგრამ შენთვის არის
რვაფეხა,
უფრო სწორად იყო დემონი,
რომელმაც ბევრჯერ
გზად შეგაფერხა,
ეცადა,
მაგრამ ვერ დაგიმონა!

2001

ოდისევსი და ილიადა

ორი კი არა,
აგერ სამიათასწლეული,
ვითარცა წუთი
მიილია და...
თითქოს გუშინ,
ისე მომესმის
ხმა ოდისევსის,
აქილევსის
და... ილიადას.

1964

ყორათი და ჭალადიდი

შემოდგომის ძეგლებივით
ეზო-ეზო დგას ზვინები
და ხეებზე ოქროს თმებით
კვლავ ჰკიდია ჩალა დიდი.
ხობისწყალს კი წაუღია
შუახორგის ბონდის ხიდი.
და გაღმიდან ხელებს გვიქნევს
ყორათი და
ჭალადიდი.

1955

არმარღანი

შენს მწველ ალერსს
მონატრებულს,
დილითა და ამა ღამით,
გსურს მიართვა –
ორი პომიდვრით
და კიტრით,
სიყვარულის არმარღანი[1].

1959

[1] არმარღანი (სპარს.) – ძვირფასი საჩუქარი

ზვიბენი

თვითმფრინავისას მიუგავს კუდი
                  და გაუმაძღარს
                  აელვებს მუცელს,
რომლითაც ყოველს –
                  ჰყოფს ნამცეცებად...
ზღვა მოადგება ნაპირს
                  და უცებ,
მოცელილივით ჩაიკეცება.

1966

ისევ შუა ხორბის სასფლაო

დედ-მამის გარდა
        მე იქ მიწევს
        ექვსი ძმა და კიდევ
                    და ორი.
და აღარველი ქვეყნად სხვა რისხვას!
                    მე თბილისში ვარ...
                    მაგრამ შორი-დან
მიხმობს უცხო და ცივი
                    ზარის ხმა...

2019

ეპილოგი

ვამბობ ხმამაღლა,
არაფერს ვმალავ!
(ო, ალბათ ესეც ჩემი ჟინია!)
ისე,
ვითარცა ვაჟას და
გალას,
„მე არც წარსულის,
არც მომავლის
არ მეშინია!“

2019

ზღვები

თოლიები –
საკუთარ თავს დაჰკივიან,
რადგან არავინ არაჰყავთ
მოძმე,
ცა დედამიწას მნათებს არისხებს.
ზღვები –
ღრუბლების
იცვამენ ძონძებს,
რომ შეაცოდონ თავი
ქარიშხლებს.

1964

ლარჭემი და გუდასტვირი

რათუნდ დიდი ლხინი იყოს,
        რაც არგუნათ ბედისწერამ –
        წვა და დაგვა
                  და ალმური,
იმას გულში მუდამ ტირის:
              ლარჭემი და
                  სალამური,
ჩონგური და
              გუდასტვირი.

1962

ბონი

ჯერ შეუქმნელ –
ბნელ სამყაროს,
ვინც,
ფარვანად გარს უვლიდა,
ის პირველი შენ ხარ ბონი,
ციურ მთებით გადმოსული,
მომავლის –
დიდ წარსულიდან.

2019

100-ტომეული

(მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“ ასტომეულზე.)

შენი მტერი და ორგული,
ყველა ბნელში შეისრისა...
შენ კი „წერა“ არ გბეზრდება!
და შენ –
შენი მიგეზღვება,
ვით კეისარს
კეისრისა.

2019

როგორც ჰორაციუსი

ათასწლეულების მერე,
უფალი თუ მომცემს ნებას,
ჩემს დარჩენილ დღეთა
ლაშქარს,
„ფიქრთა გორას“ მიუსევ,
და ვუმღერებ
„სიყვარულის ხელოვნებას“,
როგორც ჰორაციუსი[1].

2009

[1] ჰორაციუსი – რომაელი პოეტი

ვახტანგ გორგასალი, რიჩარდ ლომგული

ზღაპარი და ლეგენდაა,
ორ დიდ მეფეს
რაც გადახდა!
რა გამოლევს ქვეყნის ორგულს!
(ერთნაირი ერგოთ ბედი)
საქართველოს მეფე –
ვახტანგს[1],
ინგლისისას – რიჩარდ
ლომგულს[2]

1973

---

[1] ვახტანგ გორგასალი (V ს.).
[2] რიჩარდ ლომგული (XII ს.) ორივე მტრის ისრით დაკოდილი გარდაიცვალა.

ტრუბადურები

პროვინსის ბნელ ქუჩებში,
ღამე ეხეტებოდნენ...
თხზავდნენ ლექსებს მშვენიერს.
(თუმცა ჰქონდათ ცხოვრება,
მუდამ აუტანელი,
კურტიზანულ სიყვარულს,
აღმერთებდა მაკეტი,
გილიომ აკვატანელი[1].

1966

[1] „ცნობილია 600-მდე ტრუბადურის სახელი მათგან შემორჩენილია 400 პოეტის 2500 ნაწარმოები.

15 მაისი

რადგან მთვარე,
მზის ტოლია,
ის სამყაროს
არის ნიშა.
დრო მოვა და ისტორია,
საუკუნის იმ ლამაზ დღეს
15 მაისს ჩაინიშნავს.

1959

საქართველოს ფერთა ცის

ეს სამყარო ჩემია,
მთებითა და
ბორცვებით,
მისი ციხე-ტაძრებით –
მცხეთითა და
სამებით,
კუმურდოთ და ბერთათი,
და მარადის ვიქნები
მუხლმოყრილი მლოცველი,
საქართველოს მიწის და
საქართველოს ფერთაცის.

1975

ნიბირუ

რა დაგამშვიდებს,
როცა ფეხდაფეხ,
ყოფნას ნიადაგ დასდევს
არყოფნა,
ლამაზ სიცოცხლეს ტანჯვა და
ურვა.
და მიწა ელის უცხო პლანეტას.
როცა გული გრძნობს
სამყაროს
ბრუნვას
და ცად აფრენას ოკეანეთა.

1969

ხევსური ქალი

მადლობას ვეტყვი
ადგილის დედას,
და იმ ხევსურ ქალს დავეჩოქები,
რომელიც თავის
გულისწორმხედარს
ცნობდა ხმაზე –
ცხენის ფლოქვების.

1961

ცვალებადია საწუთრო

„ვაჰ, სოფელო რაშინგანხარ,
რას გვაბრუნებ, რაზნე გჭირსა.“
რუსთაველი

ცვალებადია საწუთრო,
არსად,
არასდორს ოკდება!
და ყოველივე იცვლება...
მაგრამ...
შენ აღარ
მოკვდები,
შენ...
მხოლოდ გარადაიცვლები.

2019

ზევსი

თვით უკვდავი,
                    უკვდავებას,
          შვილებისთვის ვერ იმეტებს!!!
          და ვითომცდა მამას (ზევსის[1])
          მათი მოთქმა ადარ ესმის!!!
უჩივიან სიკვდილს ძმები –
                    პრომეთე და
                              ეპიმეთე.

1959

[1] ზევსი (ბერძ.) – უზენაესი ღმერთი.

მუხა პარას ჭალაში

ათასწლეულების მერე,
მოსულა და დროს –
იაზონს,
(ვითარც მაშინ იქ – არესის).
გაუძარცავს პარას ჭალა.
აქ – მუხაზე საწმისივთ
არ კიდია –
ახლა ჩალაც.

1029

შენს ძველ კოლხურ ჩანგს და ებანს

ვით ხელმწიფე დავითისას,
სხვა ხმა აქვს და
სხვა სურნელი,
შენს ძველ კოლხურ ჩანგს და
ებანს –
(ესეც უფლის არის ნება.)
შორი,
მაგრამ სასურველი,
ვითარც მეცხრე სოცრებას.

2019

ყველგან...
და არსად!

აყვავდებიან ბაღში ვარდები...
სამყაროც თეთრად
დაიფიფქება...
და ბევრჯერ შეცვლის
ავდარი დარსაც.
დრო მოვა ალბათ,
მე რომ ვიქნები –
ყველგან...
და არსად!

1960

ხობისწყალი

სამეგრელოს მთებს მომწყდარი,
ხობისწყალი ადიდა და,
პარას ჭალის სანახებში
უცებ შედგა...
და შეხორგდა...
და წალეკვით ემუქრება
ძოკოს დამბას...
და შენს ხორგას.

1955

მამამძუძე

ჩემს საფლავთან –
თმაგაშლილი,
არც დები ჩანს,
და არც დედა!
ცა ცრემლებით ნამავს ფუძეს!
და ჩემს სიკვდილს,
ნათლად ვხედავ,
ვითარცა ჩემს
მამამძუძეს.

2019

ბაბილონის მშენებლები

„რომელმან შექმნა სამყარო“.
რუსთაველი

ნაბუქოდონოსორი და
მისი ძე ნენცარი
და სხვა ხელმწიფეები
ამშვენებდნენ ბაბილონს,
რათა თვალით ეხილათ –
ამ სამყაროს შემქმნელი.
მებაღე და
მეხილე!

1971

ობობები

ასკალის ბუჩქთან –
        მწერები კვლავ
                    გულსიოხებენ,
რომლის ტოტებზე თავს იწონებენ
        ობობათა ვერცხლის ქოხები, –
        პირთამდე სავსე დაღუპულთა
        მტვრით და ფერფლით.
ობობები კი ვნებით მთვრალები,
        სულგანაბული –
                    უთვალთვალებენ
მაგრამ რაღაქნან...
ჯერჯერობით აღარჩანს მსხვერპლი.

1968

***

მხოლოდ ქართველ პოეტებს!
        და ქვეყნად სხვას
                არავის!
ალბათ არ ეწყინებათ:
        (ზე) – თუ ასწევ თამასას
        არც თაგორს,
                არც გოეთეს.
არც ლორკას და თომას მანს.

2019

სიზმარი

ვითომ უგვირგვინო მეფე
იყავი და...
ეს სიზმარი,
ცხადში, ცხადად აგყოლია...
საქართველოს –
შენზე კარგი
შვილი –
ბევრი არჰყოლია!

2019

დრო

სხვა ყველაფერი...
ერთი,
დროა რომ არ ბერდება!
დანარჩენი კი ცვალებადი
არიმ მარტივით...
მტკვარი მეტეხთან ერთი წუთით
მიტომ ჩერდება,
რომ იქვე ახლოს,
ველზე კრწანისის
დაცემულ გმირთა ნათელ ხსოვნას,
რომ სცეს პატივი.

1960

ღრიანკალის თანავარსკვლავედი

მილიარდობით მნათთა გნიასით
სავსე,
მხრები გრძნობს
ზე-ცის სიმძიმეს,
მუხლებში შიში ისევ კანკალებს...
და ვითა იმედს
ცად შესციცინებ,
თანავარსკვლავედს –
ღრიანკალის.

1979

ეს როგორც მაშინ

უუძველესი ჩემი კოლხეთის,
ხსოვნას მიკარგულ
ათასწლეულებს,
ფიქრთა ბილიკით როცა შევუვლი,
ეს, როგორც მაშინ,
ჩანს სიყვითლით –
მთვარე სნეული
და ამღვრეული დიან დღეები,
ვითარცა წვიმა –
თოვლგარეული.

1965

რიჩარდ ლომგული

მასში იდგა ვიკინგების
სული –
ბრძოლით გაჟღენთილი,
შენში – კოლხურ – ლაზური,
ტკბილი,
ვითა ჩონგური,
და თანაც კურტაზული[1].
და არვიცი,
რად გაგონებს,
შენს თავს რიჩარდ ლომგული[2].

2019

---

[1] კურტაზული (ინგლ.) – მეფეთა და დიდგვაროვანთა კარზე ქცევის წესების სისტემა.
[2] რიჩარდ ლომგული – ინგლისისი მეფე (XII ს.).

მოგზაურობა დროში

ჰა,
    კუტაია...
        აი,
        აქ, სადღაც აიეტის
            სამოსახლოა, –
ლეგენდების გზის დასაწყისი...
            არესის ჭალაც აქვე,
                ახლოა,
სადაც მუხაზე, რომ ეკიდა
            ოქროს საწმისი.

1963

მთვარე

დედამიწიდან ამოფრქვეული,
ცას მთვარე შუბლზე
აზის კოპივით
და ვარსკვლავებით დაწინწკლული
აცვია ღამე,
ვითარცა ეცვა.
კიპაროსის ხე, ვით ტელოსკოპი,
უჭირავს მიწას
და დილამდე შეცქერის
ზეცას.

1959

წარწერები

ქვეყნის გაჩენის დღიდან –
ქართველი აქ სახლობდა,
არსაიდან მოსული!
დააკვირდით, წარწერებს,
ათასი წლის წინანდელთ:
მარტყოფელთა,
მცხეთელთა,
ყვარელთა და
წინანდლელთ.

1964

წამო შეჩერდი

მოსული „ათასერთი ღამიდან“,
თითქოს ყოველი იყო
სიზმარი.
უცებ დაიძრა ვნების გლეტჩერი[1],
გაიღო შენი –
გულის ცისკარი
და... „მივაძახე წამო შეჩერდი!“

1966

[1] გლეტჩერი (გერმ.) – ყინულის მთა

ხევსურეთში

შორს ჩანს ომალო და
ფარსმა,
ზამთრის ბილიკს შევებით,
და გზას ვეღარ ვამთავრებთ,
მოიმატა მითის ფასმა,
როს ჩნდა ბნელში,
დევების
რვა ხელი და
ცხრა თავი.

1962

მზის დაბადება

ეფინა ქათქათა ღრუბლების
ბულულები
ცას,
მაინც აჩნდა ვარსკვლავთა
იარა.
ღამე კი მთვარისგან კვლავ იყო
ფეხმძიმე.
(თვე იყო დეკემბრის დამლევი)
და... მერე დილამ
ყივილზე მამლების,
ოქროს კულულება –
მზე იმშობიარა.

1963

მთები

თოვლის თეთრ სარეცელზე
წვანან მთები –
ორსული,
იხურავენ საბნებად დღეებს
ცივს და ბინდიანს
არსაიდან მოსულნი,
არც,
არსაით მიდან.

1979

ის იყო ქრისტე

ღრუბელ და ღრუბელ
მიილტვოდა მთვარე
დასავლით,
ვარსკვლავები კი ყვინჩილებივით
იგრძელებდნენ
სინათლის კისრებს.
და მაშინ ღამემ ცას რომ
გააკრა,
ელვა კი არა,
ის იყო ქრისტე.

1964

***

ისე, ვითარცა ადამ კადმოსი,
ცისიერი ხარ...
და გიხაროდეს,
ცად რომ კვლავ ბელის უცხო პლანეტა.
არ გიძებნია ამაქვეყნად
ფონი აროდეს,
მუდამ გიხმობდა სიღრმე
მძვინვარ ოკეანეთა.

2019

ენგური

ფაზისი[1] და ენგური[2],
ვითარც ძველად
ისევ ისე,
ზღვისკენ კვლავ მოისწრაფის.
ქალდეველი იყო ქრისტე
თავისივე ღვთისმოსავი –
ათორმეტი –
მოწაფით.

1962

---

[1] ფასისი – წყლის ღვთაება კოლხურ პანთეონში.
[2] ენგური – (ინგირი – მეგრ.) ერქვა მის ნაპირზე ათასწლეულების იქით აშენებულ კოლხურ ტაძარს.

ცროლის მთა

ვითა ადრე ფშავ-სევსურთა
მთები,
ადრე აქ მოსახლე,
მეგრელებსა და ელის ჭანებს...
გარდასულა ჟამი ძრწოლის,
ნისლში დგას და გველისმჭემელს“
კვლავ იხსენებს ის მთა –
ცროლის.

1960

ისევ – არესის და პარას ჭალა

ეჰა,
ეს როდის...
მადლი ხსოვნას!
ისევ მწამს მისი.
როს არესის და პარას ჭალაში,
მდგარ დიდ მუხებზე,
ერთზე – ოქროს
ჩალა ეკიდა,
მეორეზე კი – ოქროს საწმისი.

1970

ურიი

ხამისკ-ური, მშვიდობა-ური,
ყუმ-ური და ა. შ...

ხუთზე მეტი ათასი წლის
წინ,
ური ქვეყნად ერთი იყო,
ახლა ჩვენთან ური[1] ოშობს[2].
მაშინ უფრო მიირთმევდნენ
ღვინოს
შუმს და ურიოშოს.

2019

---

[1] ური – შუმერთა დედაქალაქი
[2] ოში (მეგრ.) – ასი

სქური და დიოსკურები

სხვის შვილებს ვერ იტანს ჰერა[1]
თუ იხელთა დასთხრის თვალებს,

და კოლხ დედას იოს[2] ურევს.
ვხედავ: სქურში[3] მოჭყუმპალე
ნა'ირუა[4] –
დიოსკურებს[5].

1965

---

[1] ჰერა – მამაღმერთის – ზევსის ცოლი
[2] იო – ძველარგოული მთვარის ღვთაება, "ზევსის საყვარელი|:
[3] სქური – წყარო სოფ.აბასთუმანში "ზუგდიდის რ-ნი
[4] ნა'ირუა "მეგრ.| – ტყუპები.
[5] დიოსკურები – ზევსის შვილები: მოკვდავი კასტორი და უკვდავი პოლისევკი.

ვარსკვლავები დაგმარხავენ

ხელთ გიპყრია მზით ნაჭედი
    დღე და ღამე,
                ვით ფარ-ხმალი
და გელის ის ვინც გელოდა.
    ვარსკვლავები
            ცაში ჩუმად დაგმარხავენ,
დაგადებენ მთვარეს ლოდად.

2007

თეთნულდის ღამე

როცა მოესმათ კივილი დალის,
მთებმა გულ-მკერდზე ლოდები
იცეს,
აიყოლიეს კლდეები სალი.
მერე უეცრად დაბრმავდა სივრცე
და ცას და ღამეს –
ვარსკვლავებით დაევსოთ თვალი.

1972

* * *

შიშველ-ტიტველ ვარსკვლავებს კი
არც მამა ჰყავთ,
არც დედა‘
მიცვალებულ გმირთა სულებს –
დღისით – მზე და
ღამით მთვარე
ადგათ შარავანდედად.

1972

* * *

აღმოსავლეთით ცის თეთრ ჭიშკართან,
მზეს ელოდება მთვარე –
ეული,
მაგრამ არა და არა ჩანს არდი*.
და ევერესტი –
ცად გაქცეული,
არავინ იცის, დედამიწას
თუ როგორ დარდობს.

1979

---

* „არდი–ადრე მზეს უნდა რქმეოდა“. ივანე ჯავახიშვილი.

ს ა ლ ხ ი ნ ო შ ი

სალხინოა...
        და ლხინია,
        მაგრამ გზად თუ შეგეყარა
        და სიკვდილმა გიწია,
ნუ შეკრთები‘ – დაგიფარავს:
            ჭყონი[1],
                კურზუ[2],
                    კიწია[3].

1974

P.S. 1,2,3 – პრეისტორიულ კოლხთა წარმართული ღვთაებები, ამ’ამად სოფლები მარტვილის რაიონში.

* * *

მიმწუხრის შავი ჯოხის კაკუნით
ჩადიოდა მზე ფერნაკლული
და ჰგავდა ბრმა,
ლამაზ ოცნებას.
ღრუბლები ქარში თმებს იშლიდნენ
და დატიროდნენ ბორცვებთან
შენს მომლოდინე
სიმშვიდეს.

* * *

სიცოცხლედ და სიხარულად,
ყოველ დილით
მზე ამოდის,
ოქროსფერი, როგორც ხვითო.
სიკვდილი ჩვენთან
არ მოდის,
ჩვენ მივდივართ მასთან თვითონ.

2008

* * *

ცა გაშლილია, ვით სუფრა
ათასწლეული
თამადობა კი მთვარემ ინება,
და ვარსკვლავები ოქრო-ვერცხლის
არის თასები,
რომელი კამკამა ნათლით ავსებენ,
უფლის რჩეული ქერუბიმები*.

1984

---

* ქეპუბიმები – ექვსფრთიანი ანგელოზები.

* * *

ცის და მიწის სიყვარული
სამიათასჯერ გარითმე.
არც ნაკლები
და არც მეტი,
შენი ლექსი მოჰგავს კრეტის
ან ეგვიპტის ლაბირინთებს.

1994

* * *

პოსეიდონს ბაძავ,
ამბობ და არ მალავ:
ვერ იქნები მშვიდად,
თუ არ გეცნო ახლა,
ზღვას რომ ღუნავს მშვილდად.

2006

რეა და კაბალა

ბაბილონის კი არა,
ცად მიჰყვები ლოცვის და
უფლის მაღალ კიბეებს,
და მსხვერპლს წირავ რეას[1] და
ღმერთთა დედა-კიბელეს[2].

1964

[1] რეა – ფრიგიელი ღმერთქალი.
[2] კიბელე – პელაზგთა "ბერძენთა| დედა-ღვთაება.

* * *

ვიცით სიკვდილი უძლეველია,
მის ზრახვებს –
მაინც აღარო ვემხრობით,
და სიავესაც მით ველოდებით
არავინ უწყის,
თავზე როდის ჩამოგვემხობა –
დამძიმებული ცა ღრუბლების
შავი ლოდებით.

* * *

სახელმა „ვა'ამ“ პოეზიის
მოწმენდილ ცაზე
გადაიქუხა
უცებ მეხივით –
და გადასწია რკინის ფარდა ათასწლეულთა
– კაცობრიობას,
რომ წარსული კოლხთა ეხილა.

2000

* * *

ციდან მუქარას ღმერთთა,
თითქმის მოედოლ ბოლო
და ხშირად აღარ გვესმის.
ისე, ვით ზევსმა კრონოსს*,
ქრისტემ დაამხო ზევსი.

1989

---

* კრონოსი "ბერძ. – ოლიმპიამდელი ღვთაება ურანოსისა და გეას ვა'ი.

* * *

მამა,
ძე და სული წმიდა,
ჯერ არა ჩანს ციდან სამად
და სამყაროს ადგას ბნელი.
ერთი მნათი ისე დაცქერს
მთვარის სამარხს,
ვით ქრისტეს ცხედარს მაგდალინელი.

1978

* * *

ერთბაშად არა,
ზოზინ-ზოზინით,
ცით ჩამოფრენილ ანგელოზივით,
დრო სიცოცხლეს და სიკვდილს გვასწავლის
და ხეს ცხოვრების ცვივა ნოაყოფი.
აღმოსავლიდან –
ვიდრე დასავლით,
დღითი-დღე მოდის ‘ამი არყოფნის.

2008

* * *

კავკასიონის მთით გოადმომდგარი –
ღრუბელი წვიმას ბღავის
ვერძოვით.
ელვა წყვდიადის მისდევს ნაკვალევს.
ზვირთთა დედები ერთურთს ებრძვიან
და აფრიდიტე* ზღვას
დაკანკალებს.

1971

---

* აფროდიტე "ბერძ.| ზევსისა და ოკეანიდ დიონეს ქალიშვილი.

დემონები და სატირები

ცეკვა-თამაშით,
სიცილ-ხარხარით,
ლეგენდიდან თუ წარსულიდან
მოვლენო ტალღები,
ვით დემონები და სატირები.
და დავიწყების კარს გააღებენ,
მერე მედეას ღალატს ჩუმად
შემომტირებენ.

1969

* * *

წითლდება ზეცა აღმოსავლეთის,
თენდება დილა საოცარი
და საკვირველი.
მზე არ იკარებს ნიავს მიჰქროლილს.
მამლებს სურთ:
ყივილის საყვირებით
დაამხონ ღამე ისე, როგორც
იერიქონი.

1989

* * *

შენ ხარ ჰელიოსის[1] ძე
ვინც „კოლხური ფსალმუნით“,
ამაღლება გაბედა.
და ზიხარ კვლავ გაბეთას[2],
ბიბლიური თმა-წვერით
და ამბობ, ვით პილატე:
„რაც დავწერე,
დავწერე!“

2007

[1] ჰელიოსი – მზის ღმერთი
[2] გაბეთა “ებრ. მსაჯულის ტახტი.

* * *

ნისლის საცერშიო ქარბორიას
ზღვა გაუწურავს,
არავითარი ბურდო და ლექი.
სხვა სილამაზის არ ვარ მნახველი.
გამთენიისას სისხლიან მზეს
ამოახველებს
ცა დღითი და ჭლექით.

1967

* * *

მთიები,

ვით მტერი ურიცხვი, –

ფრიალებს...

ზანზარებს ცის ლურჯი მინდორი,
რომელსაც წარსულის ნისლები ებურვის.
ზე – შემოქმედება ომია დიდგორის –

საკუთარ თავთან მოგებული.

2008

ზოგმა მგოსანი უწოდა

“ვით ამერიკელს იანკი*.
ლექსის ქურდსა და
სოვდაგარს.
ზოგ-ზოგის პოეზია კი,
დაუმიზნებელ სროლას ჰგავს.

2008

* იანკი “ინგ. – ამერიკელების მეტსახელი, რომელიც მათ ევროპელებმა შეარქვეს.

* * *

აჰა, ჩემი სასახლე,
ლურჯი ცით და
მთვარიოს ჭით,
ვარსკვლავებით ურიცხვით,
ცხრა მზით და ცხრა კარიბჭით.
აქვე ბლომად იპოვით –
სარდონიქს[1] და სარდიონს[2],
ქრისოპრას[3] და ქრიზოლითს“,
ბივრილს[5], ტოპაზს[6], საფირონს[7]
და სიყვარულს ბევრზე - ბევრს,
თქვენი გოლუაფირო[8].

2008

1,2,3,4,5,6,7 – ძვირფასი და პატიოსანი ქვები
[8]თქვენ შემოგევლეთ “მეგრ.|

ფაზისის პირას

კოლხთა წარსულში,
აიასთან,
ფაზისის პირას,
რომ გაკრთა ელვა,
ელვა არა,
ორფეოსმა ჩამოკრა ლირას.

1958

სამი ფერია

სიკვდილი ვერ ეწევა,
უკვდავების ფერი აქვს –
სამ ღვთაებრივ ფერიას:
პოეზიას,
მუსიკას,
ფერწერას.

2001

მთა პოეტი

ძირს ჩამოდის სინათლედ –
ვარსკვლავების სიცილი,
ნავსაყუდლად ცა ჰპოვე.
ზღვა, კვლავ შემოგციცინებს,
ისე, როგორც მთა –
პოეტს

1997

* * *

ვითარცა დავითს ლამისყანასთან,
ჩაგვსაფრებია დღეები ჩვენ,
როგორც ლეკები.
რაქნას სიცოცხლემ‘
ვეღარ გვიფარავს.
და ჩვენ სიკვდილი
ვითა ცხვრის ფარას,
მოუსავლეთში მიგვერეკება.

2000

* * *

მტერთან სულ იმარჯვებდნენ...
და სახელი იმათი
ძალას მატებს
უძლურს კი:
ჯავახ[1] – გოგარ[2] – კლარჯები[3],
ჯიქები[4] და ბურჯუკნი[5].

1969

1,2,3,4,5 – უძველესი კოლხური „ქართველური“ ტომები

* * *

წყალში დამხრჩვალთა სულებს
მოვუხმობ.
მარტი ქალივით ფერს და
ზნეს იცვლის.
ალბათ ჩემს გარდა არავინ იცის:
რას მოასწავებს დღეს
ზღვის დუმილი.

1973

---

* მედიუმი "ლათ. – შუათანა, სპირიტების ცრუ რწმენით, პირი, რომელიც გარდაცვლილთა „სულებთან" ამყარებს ურთიერთობას.

* * *

მეხით დამფრთხალი ჯოგი –
ღრუბლების,
ღამის უკუნში,
სადღაც მიდიან...
მთვარე ლოდივით ქვესკნელში გდია.
ქუხილს ხმალივით –
ელვა ჰკიდია,
თუ ამოწვა და გააპობს წყვდიადს.

1961

სარჩევი

წყალი.....25
ჭიაკოკონობის ღამე ტაბაკონის
მთაზე.....26
მივალ, ვით ბევრი კოპალა.....27
ტობავარჩხილი.....28
ისევ პარას ჭალა.....29
ტროას გახსენება.....30
სიკვდილი.....31
სანდურავი.....32
თორღვა.....33
ბორჯომი და ნაბეღლავი.....34
არამხუტუ.....35
ხორგა.....36
100 ტომეული.....37
ნაძვის ხე სასაფლაოზე.....38
კაპუნია.....39
კუნძული.....40
ეიფელის კოშკი.....41
სამეფო ფიქრის და წარსულის.....42

გახუა მეგრელაური 43
დღეები... ღამეები 44
ლექსი და პოეტი.....45
ჰეტერა 46
ხუშხეველი დევები.....47
***ამ წუთისოფელს ბევრი ედავა,.....48
სეგედილია 49
ოსანა 50
ენქიდუ და გილგამეში 51
ვით ხიროსიმა და ნაგასაკი 52
ექო.....53
სიხარული.....54
ხვთისშვილები.....55
აიეტის მერმინდელი კოლხეთის
მეფეები 56
ვარსკვლავი 57
ნაბუქოდონოსორი 58
მტკვარი მეტეხის ციხესთან.....59
სტუდენტობა 60
ხორგა 61

მტკვარი 62
ფშავში 63
ციცინათელა.....64
2007 65
მზე.....66
***საწყალი კაცობრიობა 67
კოლხური ბაღი 68
ქორწილი 69
არმაზი, ითრუჯანი.....70
პოეტი – კამერტონი 71
მთვარე და ვარსკვლავები 72
აბო თბილელის „ნიშა“ მეტეხის
ციხესთან.....73
ჩემი ლანდი 74
ქედები.....75
სიცოცხლე, სიკვდილი.....76
დღე, ღამე.....77
მწოლიარე ლექსები.....78
სემირამიდას ბაღი.....79
შესანიშნავი შვიდეული.....80

აპათია 81
5000 82
ცა-ქუდად, მიწა-ქალამნად... 83
არმაზი და ბაგინეთი 84
დედა 85
ოთხი საუკუნის მერეც 86
გათენება 87
ის 88
მერკური, პლუტონი 89
წარწერები ლოდებზე 90
ნიბირუ 91
სამადლობელი 92
ზღვაო 93
აიეტის სასახლე 94
უფლის ციხე 95
მოსკოვური შემოდგომა 96
მთვარე 97
მოგონება 98
ვარსკვლავიანი ღამე 99
მონატრება 100

დევის კოშკი 101
ჩემი მშვილდ-ისარი 102
***მაშინ იყო ზღვა კარგი, ... 103
ავთანდილ და არამისი 104
კაჭკაჭები 105
კავკასიის მთები 106
ზღვა მწუხრისას მიიცვალა 107
ყვირილა 108
დღეები, ღამეები 109
ძახილი 110
შიში 111
მთვარის უკანა მხარე 112
ცის სასახლე 113
დაოსი და გურამიშვილი 114
15 115
წვიმიანი ღამე 116
სიყვარულით სნეული 117
ჩემი ხმა 118
თარაზული 119
სქანი გოლუაფირო 120

გათენდა.....121
საქართველოს.....122
ხილვა; აიეტის სასახლე.....123
ნახვამდის.....124
მტკვარი და ენგური.....125
***ძილგამტყდარო ვარსკვლავებო.....126
მეტეორთა გულისცემა.....127
ლოცვა, წყევლა.....128
მესამე.....129
მიწა, ცა.....130
სანსკრიტული.....131
ტრამონტანა.....132
ქართული სული.....133
ნიბირუ, ასტეროიდი.....134
მომავლის პოეტი.....135
ცრუ რწმენა.....136
ბედი დიდი პოეტის.....137
ზღვა.....138
აპოლონი, დიონისე.....139
მთვარე.....140

ამირბარო, სპასპეტო და სპასალარო.....141
ხილვა: გიორგი ჭალადიდელი 142
***ვინც ჭირში მყოფს.....143
სპირიტული.....144
გუგული.....145
მზე, მთვარე.....146
ისევ კოლხეთი 147
1959.....148
ხილვა – ვენერა მილოსელი 149
***აბაზებმა და მაჰმადხანებმა.....150
ისევ პარას ჭალა.....151
დაფნა.....152
***როცა ამოვა სული ტანიდან.....153
მამლები, ყვინჩილები.....154
საადმირალო.....155
ითრუჯანი.....156
ვარსკვლავიანი ღამე ნაბეღლავთან.....157
***ქალკედონის კუნძულზე 158
ტყე.....159
სიყვარული.....160

ოკეანე, ზღვა 161
როიალი 162
ზაფხული მთაში 163
ლასკალა და პასკალი 164
***ყოფნა ზოგისთვის ედემ-ბაღია... 165
ოდისევსი და ილიადა 166
ყორათი და ჭალადიდი 167
არმარღანი 168
ზვიგენი 169
ისევ შუა ხორგის სასფლაო 170
ეპილოგი 171
ზღვები 172
ლარჭემი და გუდასტვირი 173
გონი 174
100 – ტომეული 175
როგორც ჰორაციუსი 176
ვახტანგ გორგასალი, რიჩარდ
ლომგული 177
ტრუბადურები 178
15 მაისი 179

საქართველოს ფერთა ცის....180
ნიბირუ....181
ხევსური ქალი....182
ცვალებადია საწუთრო....183
ზევსი....184
მუხა პარას ჭალაში....185
შენს ძველ კოლხურ ჩანგს და უბანს...186
ყველგან... და არსად!....187
ხობისწყალი....188
მამამძუძე....189
ბაბილონის მშენებლები....190
ობობები....191
***მხოლოდ ქართველ პოეტებს!....192
სიზმარი....193
დრო....194
ღრიანკალის თანავარსკვლავედი....195
ეს როგორც მაშინ....196
რიჩარდ ლომგული....197
მოგზაურობა დროში....198
მთვარე....199

წარწერები 200
წამო შეჩერდი 201
ხევსურეთში 202
მზის დაბადება 203
მთები 204
ის იყო ქრისტე 205
***ისე, ვითარცა ადამ კადმოსი 206
ენგური 207
ცროლის მთა 208
ისევ – არესის და პარას ჭალა 209
ური 210
სქური და დიოსკურები 211
ვარსკვლავები დაგმარხავენ 212
თეთნულდის ღამე 213
* * * შიშველ-ტიტველ
ვარსკვლავებს კი 214
* * * აღმოსავლეთით ცის თეთრ
ჭიშკართან 215
ს ა ლ ხ ი ნ ო შ ი 216
* * * მიმწუხრის შავი ჯოხის კაკუნით 217

* * * სიცოცხლედ და სიხარულად 218
* * * ცა გაშლილია, ვით სუფრა 219
* * * ცის და მიწის სიყვარული.....220
* * * პოსეიდონს ბაძავ.....221
რეა და კაბალა 222
* * * ვიცით სიკვდილი უძლეველია.....223
* * * სახელმა „ვა'ამ“ პოეზიის.....224
* * * ციდან მუქარას ღმერთთა 225
* * * მამა 226
* * * ერთბაშად არა.....227
* * * კავკასიონის მთით
გოადმომდგარი 228
დემონები და სატირები 229
* * * წითლდება ზეცა აღმოსავლეთის.230
* * * შენ ხარ ჰელიოსის ძე.....231
* * * ნისლის საცერშიო ქარბორიას.....232
* * * მთიები.....233
* * * ზოგმა მგოსანი უწოდა.....234
* * * აჰა, ჩემი სასახლე 235
ფაზისის პირას.....236

სამი ფერია 237
მთა პოეტი 238
* * * ვითარცა დავითს ლამისყანასთან 239
* * * მტერთან სულ იმარჯვებდნენ..... 240
* * * წყალში დამხრჩვალთა
სულებს 241
* * * მეხით დამფრთხალი ჯოგი 242

მილოცვა

„ნიკოლოზ ფირცხალავას" 100-წლისთავთან
დაკავშირებით, ერისადმი ამ ფიქრიანი
ბუნების, ერისადმი ამ ფიქრიანი
ბუნების ლოცვისთვის, ლაღისა
ამ ოთხი, ერისადმი ბევრ ფიქრიანი
ბუნებისა ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი ბევრ ფიქრიანი ბევრ
ფიქრიანი

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 12

VAZHA EGRISELI

“KOLKHURI PHSALMUNEBI”

ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 12

გამომცემლობის	
რედაქტორი	– რამინ ძეცბაია
მხატვარი	– სპარტაკ ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი	– ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი	– ნანა დუმბაძე
კორექტორი	– ეკა თანდილაშვილი
კომპიუტერული	
უზრუნველყოფა	– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – დაჩი დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com